დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **ზაზა ჭანტურია** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრები;

მარიამ ფერიაშვილი; ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ირმა შალიკიანი; საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ზაზა მანია; საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი

ნინო თამარაშვილი; უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი

თამარ ძველაია; ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი

ჟანა ბელქანია; ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი

ნანა შალამბერიძე; სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი

ირინე შარაბიძე; მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი

მურად ფახურიძე; სპორტის საგნობრივი ექსპერტი

ვერა სომხიშვილი; ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**239885139**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**სენაკის მუიციპალიტეტის, სოფელი ხორში**
ფაქტობრივი მისამართი	სენაკი. სოფელი ხორში.
საფოსტო ინდექსი	4100
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**khorshi@mes.gov.ge**

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595226762

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	MES 6 26 0000431852, 15/04/2026
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 18 და 19 მმაისი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი	სახელმწიფო ენა	სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა. 2 შენობა-ნაგებობა. (სოფელი დიდი ხორში და სოფელი ხორში)
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის	საბაზო	სახელმწიფო ენა	სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა. 1 შენობა

	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა			

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 15 აპრილის MES 6 26 0000431852 ბრძანების საფუძველზე, ,,საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების მიზნით 2026 წლის 18 და 19 მაისს განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლაში. ერთობლივად შემუშავებული დამატებითი ნუსხა დაწესებულებას გადაეგზავნა ვიზიტამდე. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრა: ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ორი ექსპერტით, რომელთაგან ერთი თავმჯდომარეობდა ჯგუფს და საგნობრივი ჯგუფის ექსპერტებით. ვიზიტამდე, სრულფასოვანი შეფასების უზრუნველსაყოფად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, განსაზღვრა დასაზუსტებელი საკითხები, გამართა რამდენიმე ონლაინშეხვედრა, სადაც შეთანხმდა შეფასების მიდგომა და დაზუსტდა ადმინისტრაციული წარმოების დღის წესრიგი. აღნიშნული დღისწესრიგის გეგმა წინასწარ გადაეგზავნა დაწესებულებას. ვიზიტი განხორციელდა სწორედ ამ გეგმის შესაბამისად. დაწესებულებაში ვიზიტის დროს სკოლამ გამოყო დირექტორის ბრძნებით N 25 დამტკიცებული ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო დოკუმენტაციის მატერიალურად მოწოდებაზე. ვიზიტის ფარგლებში, ექსპერტებმა განახორციელეს შეხვედრები სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან და მოსწავლეებთან, დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი. შეფასების პროცესი წარიმართა თანამშრომლობის და კეთილგანწყობის გარემოში - დაწესებულებამ ხელი შეუწყო ექსპერტთა საქმიანობას და უზრუნველყო შესაბამისი მტკიცებულებების წარმოდგენა. ვიზიტის შედეგების პრეზენტაციისას ექსპერტებმა წარმოადგინეს დოკუმენტური ანალიზისა და გასაუბრებების შედეგად ჩამოყალიბებული მიგნებები, რომლებზეც მიეწოდათ ინფორმაცია დაწესებულების წარმომადგენლებს ვიზიტის დასრულებისას.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2	☒ შეესაბამება

პერსონალის განვითარება	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 150	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 1.2.1.4,	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და	წარმოების პროცესში ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული და განსაზღვრული იყო შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, **თუმცა იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივლისიდან - 2026 1 სექტემბერამდე.**

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	**სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;** მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	• სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - არ იყო განსაზღვრული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები. **დოკუმენტში არ იყო გაწერილი საშტატო განრიგით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების აღმწერი ფუნქცია-მოვალეობები.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივლისი - 2026 1 სექტემბერში.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**
ინდიკატორი 3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	წარმოების პროცესში **სკოლის მხრიდან დარღვეული იყო კონკურსის გამოცხადების ვადები.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივლისი - 2026 1 სექტემბერში.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.**
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ	• სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ შენობაში; სოფელი ხორში და სოფელი დიდი ხორში. სკოლის მეორე კორპუსი (სოფელი დიდი ხორში) არ იყო სრულად შემოღობილი.

	ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	**სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის მაისი - 2026 წლის სექტემბერი.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება; უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სრულად შემოიღობოს სკოლის ტერიტორია, რათა დაცული იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება.** • ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა დასკვნა მე-2 კორპუსის მდგრადობასთან დაკავშირებით. სკოლამ წარმოადგინა მიმართვა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (MES 6 26 0000196395 . 20. 02.2026 წელი) სკოლის შენობის ექსპლუატაციის დასკვნის მომზადების შესახებ. **სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 27.02.2026 წ. - 27.02.2027 წ.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ინდიკატორის დაკმაყოფილება.** სკოლამ ვერ წარმოადგინა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 27.02.2026 წ. - 27.02.2027 წ.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ინდიკატორის დაკმაყოფილება.**
ინდიკატორი 3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლის მეორე კორპუსში (სოფელი დიდი ხორში) სადაც სწავლება მიმდინარეობს დაწყებით საფეხურზე, იყო მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი. აღნიშნულ კორპუსებს შორის დაშორება არის 10 კილომეტრი. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც**

		აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის სექტემბერი - 2027 წლის ივლისი. სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება/წესი, თუ როგორ უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას აღნიშნულ კორპუსში დაწყებით საფეხურზე. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივლისი.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;**
ინდიკატორი N 3.5.1.4.	**სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**	სკოლის მეორე კორპუსი - სოფელი დიდი ხორში, არ არის ადაპტირებული, **რის გამოც აღნიშნული შენობა-ნაგებობის ინფრასტრუქტურა არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისი.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;**
ინდიკატორი N 3.6.1.2.	**სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**	ვიზიტის პროცესში („eflow") მართვის ელექტრონული სისტემის გადამოწმებისას დადგინდა, რომ ბრძანებების ნაწილი არ იყო ატვირთული შესაბამისი წესით. **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2027 წლის სექტემბერი.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;**

სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *საგაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სკოლაში გამოყოფილია შესაბამისი ოთახი, თუმცა **სკოლას არა აქვს საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2027 წლის სექტემბერი.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;**
ინდიკატორი N 2.2.2.4.	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს 20 მასწავლებელი, მათ შორის 1 მენტორი. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, აქვს ორი შენობა, განიცდის საჭირო ადამიანური რესურსის სიმცირეს, რის გამოც უწევს მასწავლებლებისთვის სრულ განაკვეთზე მეტი საათობრივი დატვირთვის შეთავსება. **დაწყებითი საფეხური; მათემატიკა, სპორტი, მუსიკა, ხელოვნება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს საშტატო განრიგის ზრდა და მასწავლებლებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2027 წლის სექტემბერი.** **სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;**

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი N 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ჯერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ხოლო შემდეგ დამტკიცდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. ამასთანავე, წარმოდგენილი ოქმი, რომლითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, თარიღდება 2024 წლის 5 მაისით და პედსაბჭოს სხდომის ოქმი N 4, 7 დეკემბერი 2024 წელი. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი N 2, რომელიც თარიღდება 15 ივნისით, 2024 წელი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებთან.
ინდიკატორი N 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*

ინდიკატორი 3.1.1.1	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	**სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი - ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა“ - საჭიროებს გამართვას. აღნიშნული დოკუმენტის მე-11 მუხლი საჭიროებს, როგორც ტექნიკურად, ისე შინაარსობრივად მკაფიო ფორმულირებას.
ინდიკატორი 3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი დოკუმენტები არეგულირებს მხოლოდ მასწავლებლების საქმიანობასა და მართვის პროცედურებს. დოკუმენტებში არ არის გაწერილი სხვა თანამშრომლებთან შრომითი ურთიერთობების შესახებ. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებში გაითვალისწინოს საშტატო განრიგით განსაზღვრული სხვა თანამშრომლების მართვის პროცედურებიც.
ინდიკატორი 3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის განსაზღვრული პედაგოგების ინტერვენციული მართვის საკითხები. კერძოდ, არ არის დარეგულირებული დასაქმებული მასწავლებლის არყოფნის შემთხვევაში როგორ უზრუნველყოფს სკოლა სამუშაოზე არ მყოფი დასაქმებულის ფუნქციების დელეგირებას სხვაზე ისე, რომ არ დაზარალდეს სკოლაში მიმდინარე პროცესები. **სკოლას მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზღვროს ინტერვენციული მართვის საკითხები.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის	სკოლას არ ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

	ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	
ინდიკატორი 3.5.1.2.	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების განკარგვის წესი. თუმცა, მსგავსი წესის დოკუმენტირება ჯერ არ განხორციელებულა. რის გამოც **სკოლას მიეცა რჩევა:** შეიმუშაოს შესაბამისი პროცედურები და რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს რესურსების ტიპებს, გამოყენების წესებსა და პასუხისმგებლობათა განაწილებას, რათა უზრუნველყოს მათი სამართლიანი, ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მეტად დააკონკრეტოს კურიკულუმის შემუშავებისას როგორ და რა ფორმით არიან ჩართული შესაბამისი მხარეები. მაგალითად, მეტად დაკონკრეტდეს ის ნაბიჯები, რასაც კათედრები ახორციელებენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და ა.შ.
N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** **რჩევები:** სასურველია, შეფასების რუბრიკები შეიქმნას დაწყებითი საფეხურისთვისაც.

	განვითარების გზას	**ესთეტიკური აღზრდა** რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. კურიკულუმი უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ და ცოცხალ ინსტრუმენტს. რჩევა: პროექტული სწავლების კურიკულუმებში სასწავლო წლის დასაწყისშივე აირჩეს შესასწავლი თემები მოსწავლეთა მიერ და მიზნობრივად გაიწეროს კურიკულუმებში. **სახელმწიფო ენა** რჩევა-სასურველია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (დაწყებით და საბაზო საფეხურზე) შენარჩუნდეს ერთიანი ჩარჩო, რათა იყოს მეტად ორგანიზებული და სისტემური სახის. **დაწყებითი საფეხური** რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს და დანერგოს კურიკულუმების ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო (სვეტების რაოდენობისა და კომპონენტების მიხედვით) ყველა საგნისთვის, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სისტემურობას. ასევე, რეკომენდებულია სასწავლო რესურსების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უკეთ მხარდასაჭერად.

N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** მე და საზოგადოება (III-IV კლასები) III-IV კლასები: სასწავლო პროგრამაში მოცემული სამიზნე ცნებები მკაფიოდ გადაანაწილდეს შესაბამისი საკითხების კლასტერებზე. **უცხოური ენები** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული **ესთეტიკური აღზრდა** ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს პედაგოგებს. **სახელმწიფო ენა** რჩევა- დაწყებით და საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას სასურველია, გათვალისწინებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და გაიწეროს თემები, რომელთა შესაბამისად დამუშავდება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დასახვეწია კურიკულუმის ჩარჩოები, კერძოდ, დამატებულია ცალკე სვეტი - მაგალითები შედარებისათვის, რაც სასურველია გაწერილი იყოს კონტექსტმაგალითებში, მათი დაზუსტების მიზნით. განსაკუთრებით დასახვეწია საბაზო საფეხურზე VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო. გვხვდება უზუსტობები თემებს, დავალების იდეებსა და

		აქტივობათა ურთიერთმიმართებებს შორის, რაც ბუნდოვანს ხდის შემოქმედებითი ტიპის დავალებათა არსს. სასურველია, სიღრმისეულად გაეცნოთ დაწყებითი და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტს და კურიკულუმის შედგენისას გამოიყენოთ მართებულად. **დაწყებითი საფეხური** გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და შედეგები) და სავალდებულო თემები მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.
N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, რომ ყველა კლასის კურიკულუმში დაემატოს იმ რესურსების ჩამონათვალი, რომლებსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომლებზეც გასაუბრების დროსაც ისაუბრეს. **ესთეტიკური აღზრდა** ხელოვნების მასწავლებლებმა, სასწავლო გეგმაში მიუთითონ კონკრეტული მუზეუმების (მაგ: Google Arts & Culture) ბმულები. ეს აჩვენებს, რომ სკოლა იყენებს გლობალურ საგანმანათლებლო რესურსებს სწავლის შედეგისთვის. რჩევა: შექმენით ფლეილისტები (მაგალითად, YouTube-ზე ან Spotify-ზე) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მიხედვით. მტკიცებულებად წარადგინეთ ეს ბმულები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეს ხელი მიუწვდება ხარისხიან აუდიო მასალაზე. რჩევა: საუკეთესო პრაქტიკაა, როცა წინა წლის მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერი ან მაკეტი ხდება სასწავლო რესურსი მომდევნო კლასელებისთვის. ეს აჩვენებს

		რესურსების მდგრადობას და მოსწავლეთა ჩართულობას. რჩევა: მუსიკაში — რიტმული ბარათები, გრაფიკული გამოსახულებები, ხელოვნებაში — ფაქტურული მასალები (ქვიშა, ბურღულეული, სხვადასხვა სიმკვრივის ქაღალდი). ეს ნივთები ფიზიკურად უნდა იდოს კაბინეტში და მათი გამოყენება ჩანდეს გაკვეთილის გეგმაში. **სახელმწიფო ენა** რჩევა- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით დაწყებით და საბაზო საფეხურზე, (განსაკუთერებით საბაზო საფეხურის VII კლასში) სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **დაწყებითი საფეხური** რჩევა: სასურველია, კურიკულუმში აისახოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები (ციფრული მასალები, თვალსაჩინოებები, სტატიები).
N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	**ესთეტიკური აღზრდა** რჩევა: შეიმუშავეთ და შეინახეთ დავალების ნიმუშები, სადაც ჩანს ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა სირთულით მიწოდება. რჩევა: მოსწავლეს მიეცით დავალების შესრულების რამდენიმე ვარიანტი. ასეთი

		მიდგომა ადასტურებს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას. რჩევა: შექმენით შეფასების რუბრიკა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს, არამედ პროგრესს და მცდელობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის საგნებში, სადაც ნიჭი და უნარები განსხვავებულია.
N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები უნდა იყოს ვალიდური და მიმართული კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების სრულყოფილად დაფარვაზე. რუბრიკებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს კავშირი მოსწავლის მიღწევასა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შორის. **უცხოური ენები** სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები (როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში) მიემართებოდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ ერთეულებს და ზუსტ კოლერაციაში მოვიდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებთან. **ესთეტიკური აღზრდა** რჩევა: თვითშეფასების პროცესში უფრო აქტიურად დაინერგოს ვიზუალური/გრაფიკული სქემები (მაგ: „რეფლექსიის ბარათები“მაღალ კლასებში), რაც მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების უფრო მკაფიო იდენტიფიცირებაში.

		რჩევა: სასურველია, მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარების ნაწილი (რომელიც ასახავს მნიშვნელოვან პროგრესს) მეტად აისახებოდეს მოსწავლის პორტფოლიოში, რათა მშობლისთვის და თავად მოსწავლისთვის თვალსაჩინო იყოს განვითარების დინამიკა. **სახელმწიფო ენა** დაწყებითი და საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები სასურველია მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს. **დაწყებითი საფეხური** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმები იყოს პერსონალიზებული, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. არსებულ შეფასების სქემებში მკაფიოდ უნდა აისახოს კავშირი კონკრეტულ

		თემასა და საგნობრივ სტანდარტს შორის, რათა ვალიდურად გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე.
N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	**ესთეტიკური აღზრდა** რჩევები: • სასურველია, სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. • სასურველია, ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. • სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. სასურველია, მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). • სასურველია, ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები ინტეგრირებული იყოს თემთან ან სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილები დაკავშირდეს მეწარმეობასთან,

		ადგილობრივ არქიტექტურასთან და სოფლის ბუნებრივ ლანდშაფტთან.
		  სასურველია, სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს
		— მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური
		საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს.
		  სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი
		ინტერესები და მონაწილეობა მიიღონ თემატიკის შერჩევასა და შემოქმედებით პროცესში. ეს ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. მათ აღწერეს განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნეს, რომ პირველად შეიმუშავეს კურიკულუმი და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან დაიწყებენ
		აქტიურ მუშაობას. ასევე, კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და საკითხები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით გაწერეს. კურიკულუმში შემოქმედებითი
		პროდუქტების ნაკლებობაა. პედაგოგებმა, რჩევის გათვალისწინებით, კურიკულუმს გადახედეს, ჩაასწორეს და დასაწყისისთვის, წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ
		გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.
		
		დაწყებითი საფეხური
		რჩევა: სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტი ეფექტურობისთვის, მიზანშეწონილია
		კათედრის დონეზე პერიოდულად განხორციელდეს კურიკულუმის რეალური

		შესრულების დინამიკის მონიტორინგი, რომ სრულად იქნეს უზრუნველყოფილი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის რეალიზება.
N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	**საზოგადოებრივი მეცნიერებები** ▪ სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურის საგნებისათვის. ▪ სასურველია, სკოლამ წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალების პირობებთან ერთად წარმოადგინოს მოსწავლეების ნამუშევრები და მიწოდებული განმავითარებელი შეფასებები. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ▪ სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. ▪ სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.
N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	**ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად.

		▯ სასურველია, ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. ▯ სასურველია, კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, კუილინარია) შესაბამისი თემები. ▯ სასურველია, დირექციამ გამოუცხადოს მხარდაჭერა, რათა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება და განხორციელება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. **სახელმწიფო ენა** დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შექმნისას წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, რესურსების გრაფაში სასურველია აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც რეალურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. **დაწყებითი საფეხური** სასურველია, პედაგოგებმა კურიკულუმებში დეტალურად ასახონ და კონკრეტულ საკითხებს/აქტივობებს მიაბან ის დამხმარე რესურსები, რომლებსაც ისინი რეალურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ეს უზრუნველყოფს დოკუმენტის ფუნქციურობას და მის თანხვედრას პრაქტიკასთან.
N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	**ესთეტიკური აღზრდა** რჩევები:

		▪ მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, სასურველია მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ▪ სასურველია, სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური მასალის გამოყენება. ▪ სასურველია, შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. ▪ დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას.
N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური	**ესთეტიკური აღზრდა** ▪ სასურველია, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული

	რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი,
		მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული
		საქმიანობის ხარისხზე.
		  სასურველია, გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე.
		მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია
		მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ
		პროგრესს.
		  სასურველია, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული
		ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის.

N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლა მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს საშტატო განრიგის ზრდა და მასწავლებლებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება;
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	რჩევა
ინდიკატორი N....		
N 2.1.1.1	კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას	სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მეტად დააკონკრეტოს კურიკულუმის შემუშავებისას როგორ და რა ფორმით არიან ჩართული შესაბამისი მხარეები. მაგალითად, მეტად

		დაკონკრეტდეს ის ნაბიჯები, რასაც კათედრები ახორციელებენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და ა.შ.
N 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	საზოგადოებრივი მეცნიერებები რჩევები: სწავლის უწყვეტობის პრინციპის დასაცავად, მიზანშეწონილია, რომ X კლასის მოქალაქეობის პროექტულ სწავლებაში აისახოს პროექტის გეგმა, შეფასების რუბრიკა და მოხდეს განხორციელებული პროექტების დოკუმენტირება. ესთეტიკური აღზრდა რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. კურიკულუმი უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ და ცოცხალ ინსტრუმენტს. რჩევა: პროექტული სწავლების კურიკულუმებში სასწავლო წლის დასაწყისშივე აირჩეს შესასწავლი თემები მოსწავლეთა მიერ და მიზნობრივად გაიწეროს კურიკულუმებში. სახელმწიფო ენა რჩევა-სასურველია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (დაწყებით და საბაზო საფეხურზე) შენარჩუნდეს ერთიანი ჩარჩო, რათა იყოს მეტად ორგანიზებული და სისტემური სახის.

N 2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	საზოგადოებრივი მეცნიერებები გეოგრაფია (VII-XII კლასები) ყველა კლასი: გეოგრაფიის კურიკულუმში სამიზნე ცნებები სრულად და ზუსტად გადანაწილდეს საკითხთა კლასტერებზე; განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკა დაკონკრეტდეს და შეფასების კრიტერიუმები მოერგოს თითოეულ კონკრეტულ სასწავლო თემას. VII კლასი: დანართ 1-ში მოცემულ მატრიცას დაემატოს შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც ამჟამად გამოტოვებულია. IX კლასი: დასავლეთ საქართველოს თემაში გასწორდეს შეუსაბამობა დავალების პროდუქტს შორის — კურიკულუმსა და თანდართულ მატრიცაში ერთიანად დაფიქსირდეს ერთი კონკრეტული ფორმა (კვლევა ან პრეზენტაცია). ისტორია (VII-XII კლასები) საქართველოს ისტორია (X კლასი): კურიკულუმში მითითებული ზოგადი ქვეცნებები ჩანაცვლდეს კონკრეტული, თემასთან ადაპტირებული ქვეცნებებით; გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, რესურსების სვეტში მიეთითოს მრავალფეროვანი დამატებითი სასწავლო რესურსები. უცხოური ენები კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული

		ესთეტიკური აღზრდა ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს პედაგოგებს. სახელმწიფო ენა რჩევა- დაწყებით და საბაზო საფეხურზე საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას სასურველია, გათვალისწინებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და გაიწეროს თემები, რომელთა შესაბამისად დამუშავდება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დასახვეწია კურიკულუმის ჩარჩოები, კერძოდ, დამატებულია ცალკე სვეტი - მაგალითები შედარებისათვის, რაც სასურველია გაწერილი იყოს კონტექსტმაგალითებში, მათი დაზუსტების მიზნით. განსაკუთრებით დასახვეწია საბაზო საფეხურზე VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო. გვხვდება უზუსტობები თემებს, დავალების იდეებსა და აქტივობათა ურთიერთმიმართებებს შორის, რაც ბუნდოვანს ხდის შემოქმედებითი ტიპის დავალებათა არსს. სასურველია, სიღრმისეულად გაეცნოთ დაწყებითი და საბაზო საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტს და კურიკულუმის შედგენისას გამოიყენოთ მართებულად.

N 2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, რომ ყველა კლასის კურიკულუმში დაემატოს იმ რესურსების ჩამონათვალი, რომლებსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომლებზეც გასაუბრების დროსაც ისაუბრეს. ესთეტიკური აღზრდა ხელოვნების მასწავლებლებმა, სასწავლო გეგმაში მიუთითონ კონკრეტული მუზეუმების (მაგ: Google Arts & Culture) ბმულები. ეს აჩვენებს, რომ სკოლა იყენებს გლობალურ საგანმანათლებლო რესურსებს სწავლის შედეგისთვის. რჩევა: შექმენით ფლეილისტები (მაგალითად, YouTube-ზე ან Spotify- ზე) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მიხედვით. მტკიცებულებად წარადგინეთ ეს ბმულები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეს ხელი მიუწვდება ხარისხიან აუდიო მასალაზე. რჩევა: საუკეთესო პრაქტიკაა, როცა წინა წლის მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერი ან მაკეტი ხდება სასწავლო რესურსი მომდევნო კლასელებისთვის. ეს აჩვენებს რესურსების მდგრადობას და მოსწავლეთა ჩართულობას. რჩევა: მუსიკაში — რიტმული ბარათები, გრაფიკული გამოსახულებები, ხელოვნებაში — ფაქტურული მასალები (ქვიშა, ბურღულეული, სხვადასხვა სიმკვრივის ქაღალდი). ეს ნივთები ფიზიკურად უნდა იდოს კაბინეტში და მათი გამოყენება ჩანდეს გაკვეთილის გეგმაში. სახელმწიფო ენა

		რჩევა- მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით დაწყებით და საბაზო საფეხურზე, (განსაკუთერებით საბაზო საფეხურის VII კლასში) სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
N 2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	ესთეტიკური აღზრდა რჩევა: შეიმუშავეთ და შეინახეთ დავალების ნიმუშები, სადაც ჩანს ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა სირთულით მიწოდება. რჩევა: მოსწავლეს მიეცით დავალების შესრულების რამდენიმე ვარიანტი. ასეთი მიდგომა ადასტურებს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას. რჩევა: შექმენით შეფასების რუბრიკა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ საბოლოო პროდუქტს, არამედ პროგრესს და მცდელობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის საგნებში, სადაც ნიჭი და უნარები განსხვავებულია.
N 2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	უცხოური ენები სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები (როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში) მიემართებოდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ ერთეულებს და ზუსტ კოლერაციაში მოვიდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებთან.

		ესთეტიკური აღზრდა რჩევა: თვითშეფასების პროცესში უფრო აქტიურად დაინერგოს ვიზუალური/გრაფიკული სქემები (მაგ: „რეფლექსიის ბარათები“ მაღალ კლასებში), რაც მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების უფრო მკაფიო იდენტიფიცირებაში. რჩევა: სასურველია, მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარების ნაწილი (რომელიც ასახავს მნიშვნელოვან პროგრესს) მეტად აისახებოდეს მოსწავლის პორტფოლიოში, რათა მშობლისთვის და თავად მოსწავლისთვის თვალსაჩინო იყოს განვითარების დინამიკა. სახელმწიფო ენა დაწყებითი და საბაზო საფეხურის შეფასების რუბრიკები სასურველია მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.

N 2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	საზოგადოებრივი მეცნიერებები
		  სასურველია, რომ სკოლამ X კლასისთვის წარმოადგინოს სამოქალაქო
		განათლების პროექტული სწავლების მასალები: პროექტის გეგმა და
		განხორციელების ეტაპები, განხორციელების დამადასტურებელ
		მტკიცებულებებს, პროექტის შეფასების რუბრიკებს.
		  სასურველია, წარმოგენილ შემოქმედებითი ბუნების დავალების
		მატრიცებთან
		ერთად სკოლამ წარმოადგინოს საბაზო საფეხურზე
		განხორციელებული
		შემოქმედებითი ბუნების დავალებების ამსახველი მასალები.
		
		ესთეტიკური აღზრდა
		რჩევები:
		
		  სასურველია, სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი
		—
		მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული
		მემკვიდრეობის
		მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში.
		ეს
		ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და
		საჭიროებების
		ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში.
		  სასურველია, ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს
		ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით
		თუ
		გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და
		ტრადიციული
		ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული

		იდენტობის განმტკიცებას. სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. სასურველია, მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). სასურველია, ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები ინტეგრირებული იყოს თემთან ან სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილები დაკავშირდეს მეწარმეობასთან, ადგილობრივ არქიტექტურასთან და სოფლის ბუნებრივ ლანდშაფტთან. სასურველია, სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ინტერესები და მონაწილეობა მიიღონ თემატიკის შერჩევასა და შემოქმედებით პროცესში. ეს ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. მათ აღწერეს განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნეს, რომ პირველად შეიმუშავეს კურიკულუმი და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან დაიწყებენ აქტიურ მუშაობას. ასევე, კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და საკითხები

		სახელმძღვანელოზე დაყრდნობით გაწერეს. კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტების სინაკლეებეა. პედაგოგებმა, რჩევის გათვალისწინებით, კურიკულუმს გადახედეს, ჩაასწორეს და დასაწყისისთვის, წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.
N 2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	საზოგადოებრივი მეცნიერებები სასურველია, სკოლამ წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალების პირობებთან ერთად წარმოადგინოს მოსწავლეების ნამუშევრები და მიწოდებული განმავითარებელი შეფასებები. **ესთეტიკური აღზრდა** სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის.

		სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს.
N 2.2.2.1	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში	ესთეტიკური აღზრდა სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. ▯ სასურველია, ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. ▯ სასურველია, კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, კუილინარია) შესაბამისი თემები. ▯ სასურველია, დირექციამ გამოუცხადოს მხარდაჭერა, რათა პედაგოგოებმა და მოსწავლეებმა შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება და განხორციელება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. სახელმწიფო ენა დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შექმნისას წარმოდგენილი საკითხის

		შესაბამისად, რესურსების გრაფაში სასურველია აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც რეალურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში.
N 2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	ესთეტიკური აღზრდა რჩევები: ▯ მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, სასურველია მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ▯ სასურველია, სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური მასალის გამოყენება. ▯ სასურველია, შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები.

		▪ დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას.
N 2.2.2.3	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	ესთეტიკური აღზრდა ▪ სასურველია, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. ▪ სასურველია, გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. ▪ სასურველია, ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი

		დავალებებისთვის.
N 2.2.2.4	სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი	სკოლა მიეცა რჩევა, კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს საშტატო განრიგის ზრდა და მასწავლებლებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება;

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

დაწესებულებამ ცენტრში წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. სკოლამ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები გამომდინარე იქედან, რომ - 1.2.1.2 ინდიკატორთან მიმართების დასკვნის პროექტში იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი, რამდენადაც დასკვნის პროექტის აღწერით ნაწილში 1.2.1.2 ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც „შეესაბამება“. დასკვნაში გასწორდა აღნიშნული ტექნიკური ხარვეზი. დაწესებულებამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსები, გათვალისწინებულია რისკები, გაწერილია აქტივობის დაწყების და დასრულების თარიღი. შესაბამისად, ინდიკატორები, რომელიც დასკვნის პროექტში შეფასებული იყო, როგორც „არ შეესაბამება“, შესაბამისობის გეგმის საფუძველზე შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით განსაზღვრულ ამოცანებს. სკოლა მიზნად ისახავს, ,,უზრუნველყოს ხარისხიანი, ხელმისაწვდომი და ინკლუზიური განათლება, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეთა აკადემიურ, პიროვნულ და სოციალურ განვითარებას. სკოლა ქმნის უსაფრთხო, მხარდამჭერ და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სასწავლო გარემოს, სადაც თითოეული მოსწავლე აღიქმება როგორც უნიკალური პიროვნება და ეძლევა შესაძლებლობა გამოავლინოს საკუთარი პოტენციალი. სკოლის საქმიანობა ეფუძნება ეროვნული ღირებულებების პატივისცემას, თანამედროვე საგანმანათლებლო მიდგომების გამოყენებას და ოჯახთან, თემთან და საზოგადოებასთან მჭიდრო პარტნიორობას, პასუხისმგებელი და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნებების აღსაზრდელად.სკოლა განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს STEM მიმართულებით გაძლიერებული მუშაობის წარმართვას.“ სკოლის მიერ შემუშავებული ხედვა ასევე შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, რომლითაც დადგენილია, რომ 2030 წლისთვის ჩამოყალიბდეს თანამედროვე, განვითარებაზე ორიენტირებულ საგანმანათლებლო სივრცედ, სადაც სწავლა ეფუძნება ხარისხს, თანასწორობასა და თანამშრომლობას. შექმნას გარემო, რომელიც აღზრდის განათლებულ, პასუხისმგებელ და კრიტიკულად მოაზროვნე მოქალაქეებს, რომლებიც პატივს სცემენ ეროვნულ ღირებულებებს, სკოლას ექნება წარმატებული სასწავლო გარემო STEM მიმართულებით. სკოლა ხედავს საკუთარ თავს როგორც სანდო პარტნიორს მოსწავლის, ოჯახის და თემისათვის და მუდმივად ზრუნავს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და ინოვაციური მიდგომების დანერგვაზე. სკოლის ხედვა ეფუძნება უსაფრთხოების, მოქალაქეობრივი განათლების, ინკლუზიური სწავლების, აკადემიური ზრდისა და მოსწავლის ინტერესებზე მორგებული გარემოს უზრუნველყოფის პრინციპებს, რაც ადასტურებს, რომ სკოლის მისია და ხედვა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. **1.1.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

ვიზიტის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლაში არის სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის თანამშრომლობის შესაძლებლობები. სკოლა საკუთარ თავს განიხილავს, როგორც სოციო-კულტურულ სივრცეს. სკოლის მიერ ჩამოყალიბებული რეგულაციები და შემუშავებული დოკუმენტები: სკოლის შინაგანაწესი, ადმაინური რესურსების მართვის პოლიტიკა - აყალიბებს განვითარებაზე ორიენტირებულ შიდა სასკოლო სისტემას. სკოლაში იგრძნობა პოზიტიური თანამშრომლობითი გარემო, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს სასკოლო საზოგადოების წევრების განვითარებასა და წინსვლას.

1.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის, ასევე მოსწავლეებთან, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები ოფიციალურად არის ჩამოყალიბებული და საჯაროდ ხელმისაწვდომია სკოლის ფოიეში განთავსებულ საინფორმაციო დაფაზე. აღნიშნული დოკუმენტები ასახავს სკოლის ზოგად მიზნებსა და განვითარების მიმართულებებს.

სკოლის მიერ მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის დასადასტურებლად წარმოდგენილი იქნა სკოლის პედაგოგთა შეხვედრის ოქმი, მშობელთა კრების ოქმი (ოქმი N2, 6.09.2023 წ) , პედაგოგიური საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი და სამეურვეო საბჭოს 2023 წლის 08 სექტემბრის სხდომის ოქმი, რომლითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების მონაწილეობა მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტის - მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესახებ (დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 56, 10. 12. 2024 წ.) ანალიზით დგინდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრულია მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობის ხელშემწყობი მკაფიო მექანიზმები, პროცედურები, რომლითაც ხელშეწყობილი იქნება სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ეფექტური ჩართულობა. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (ბრძანება N25, 2 სექტემბერი, 2024 წელი) შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ განხორციელებული სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევის ამსახველი მასალები და ოქმები, რომელიც ადასტურებს მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. წარმოდგენილი დოკუმენტებით დგინდება, რომ სკოლაში შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმარების ჯგუფი, რომელმაც ჩაატარა სასკოლო საზოგადოების კვლევა, შეიმუშავა სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტები, რომლის განხილვა მოხდა ცალკე კათედრების და ცალკე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ, თუმცა აღსანიშნავია, წარმოებული პროცესი ქრონოლოგიურად არ მისდევს სკოლის მიერ დამტკიცებულ მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებს. წარმოდგენილი მტკიცებულებების მიხედვით ჯერ შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, ხოლო შემდეგ დამტკიცდა სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.

ამასთანავე, წარმოდგენილი ოქმი, რომლითაც დასტურდება სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, თარიღდება 2024 წლის 5 მაისით და პედსაბჭოს სხდომის ოქმი N 4, 7 დეკემბერი 2024 წელი. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის ოქმი N 2, რომელიც თარიღდება 15 ივნისით, 2024 წელი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ აღნიშნული დოკუმენტები შესაბამისობაში მოიყვანოს მეთოდოლოგიით განსაზღვრულ ეტაპებთან.

1.1.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ სკოლის მისია, ხედვისა და ღირებულებების პროექტი შეიქმნა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. დასტურდება, რომ პროექტის შემუშავებას წინ უძღვოდა სასკოლო სასკოლო საზოგადოებაში ჩატარებული კვლევა და შედეგების ანალიზი. სკოლის ფილოსოფიის ამსახველი დოკუმენტების გაზიარებისათვის გამოყენებულია ელექტრონული საკომუნიკაციო არხები; სკოლის ვებ/გვერდი, სოციალური ქსელები და სხვადასხვა ბლოგები. სკოლის მისია ხედვა და ღირებულებები გაცნობილი იყო სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, სკოლის დირექტორის განმარტებით მოხდა ზემიპირი უკუკავშირის გაცემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან და საბოლოოდ სკოლის ფილოსოფიის პროექტის შემუშავება. **1.1.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის ვებ.გვერდზე, სკოლის საინფორმაციო დაფაზე, რაც ქმნის შესაძლებლობას, რომ მოსწავლეებმა, მშობლებმა, პედაგოგებმა და სხვა ვიზიტორებმა ნებისმიერ დროს შეძლონ, გაეცნონ სკოლის მიერ დადგენილ ძირითად პრინციპებს, მიზნებსა და ღირებულებებს. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს სკოლის ღირებულებებისა და მიზნების ყოველდღიურ სასკოლო ცხოვრებაში ინტეგრირებას, რადგან უზრუნველყოფილია მათზე მუდმივი ხელმისაწვდომობა. **1.1.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს

საჯარო რეესტრის ამონაწერში დაფიქსირებული სახელწოდებით, დაწესებულება რეგისტრირებულია როგორც „საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა“. აღნიშნული ფორმულირება

შეესაბამება კანონმდებლობით განსაზღვრულ ტერმინოლოგიას და ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის №448 ბრძანებას, რომელიც განსაზღვრავს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების სამართლებრივ სტატუსსა და საჯარო სკოლის წესდების სტანდარტულ ფორმას. **1.1.1.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ N 25
- მისია ,ხედვის და ღირებულებების დოკუმენტი
- სტრატეგიული გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია და ბრძანება ჯგუფის შექმნის დამტკიცების შესახებ N 56 , 10.12.2024 წელი
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი საჭირო ღონისძიების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის ოქმი
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის მოსამზადებელი საჭირო ღონისძიების განხორციელების მიზნით სამუშაო ჯგუფის ოქმი
- ამონაწერი რეესტრიდან
- სასკოლო საზოგადოების გამოკითხვის კითხვარი და ანალიზი
- ფილოსოფიისა და სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. (ბრძანება N 56, 10.12 2024 წელი) წარმოდგენილი დოკუმენტი განსაზღვრავს სტრატეგიული, სამოქმედო გეგმების შემუშავებისა და შემდგომში მათი განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმს. (მუხლი N 7) დოკუმენტით იფარება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების საკითხები. იგი მოიცავს სასკოლო საზოგადოებისა და ჩართული მხარეების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

1.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული გეგმა (დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ - ოქმი N 2, 5 სექტემბერი, 2024 წ.) გეგმა არის შვიდწლიანი (2024 - 2031წწ). სტრატეგიული გეგმა არის ციკლური. კერძოდ, განსაზღვრულია დოკუმენტის განახლება/მომზადება. სტრატეგიული სამოქმედო გეგმა შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. დასკვნის პროექტში იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. სკოლის წერილის (MES 4 26 0000721074, 16/06/2026 წ.) საფუძველზე საბოლოო დასკვნაში გასწორდა აღნიშნული ტექნიკური ხასიათის ხარვეზი.

1.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2025 -2026 წლების სამოქმედო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომის N 1 ოქმით. (3 სექტემბერი, 2025 წელი) დოკუმენტი შემუშავებულია საგნობრივი კათედრებისა და დირექტორის მონაწილეობით. წარმოდგენილი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმიდან.

1.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სკოლას სამოქმედო გეგმა წარმოდგენილი აქვს ცხრილის ფორმით. გეგმაში მოცემულია გაზომვადი ინდიკატორები და განსაზღვრულია შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც იქნება რეალისტური. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია, თუ როგორ ხდება იდენტიფიცირებული გამოწვევების გადაჭრა. ამოცანები და ქმედითი ღონისძიებები ძირითადად დაფუძნებულია სტრატეგიული გეგმის მიზნებზე და გამომდინარეობს სკოლის ინტერესებიდან და საჭიროებებიდან. **ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გათვალისწინებული და განსაზღვრული იყო შვიდწლიანი სტრატეგიული მიზნები და ამოცანები, თუმცა არ იყო მითითებული პასუხისმგებელი პირები ან შესაბამისი სტრუქტურული ერთეულები. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, წარმოდგენილი მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული. აღნიშნული უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და დაგეგმილი შედეგების მიღწევის მონიტორინგის შესაძლებლობას.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივლისი - 2026 1 სექტემბერში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება; მეთოდოლოგიის მიხედვით განისაზღვროს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში პასუხისმგებელი პირი ან სტრუქტურული ერთეული.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 1.2.1.4 შეფასდა, როგორც „მეტწილად შესაბამისი“.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები

- სტრატეგიული გეგმა
- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს ოქმი -7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის შესახებ
- მეთოდოლოგია

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს, დოკუმენტში ასახულია მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები. კერძოდ, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგს წელიწადში ორჯერ სასწავლო პროცესის და ფინანსური ანგარიშის საფუძველზე. მონიტორინგის და შეფასების ჯგუფი შეიქმნება დირექტორის ბრძანებით, რომელსაც უხელმძღვანელებს დირექტორი. ჯგუფის წევრები იქნებიან ხარისხის განვითარებისა და მართვის ჯგუფის წევრები. მონიტორინგისა და შეფასების ჯგუფი შეიქმნება მაისის თვეში. **1.2.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, განხორციელებული არ არის, თუმცა სკოლის მიერ შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის ანალიზით და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა მონიტორინგისა და შეფასების პროცესი იქცეს სასკოლო ცხოვრების განუყოფელ ნაწილად, რომელიც უზრუნველყოფს პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ სასურველია დაკომპლექტდეს და განისაზღვროს კონკრეტული სამუშაო ჯგუფი, რომელიც დაიწყებს და უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების პროცესების ხარისხიან მიმდინარეობაზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას.

1.2.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

გამომდინარე იქედან, რომ სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შესრულების შედეგები ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს. თუმცა სკოლის დირექციასთან გასაუბრებით დგინდება სკოლის მზაობა, უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშის წარდგენა სასკოლო საზოგადოებისათვის, მოახდინოს დეკლარირებული მიზნების მიღწევის შეფასება, გამოწვევების იდენტიფიცირება და პასუხისმგებლობის გაზიარება ამ გამოწვევებთან გამკლავებაში. **1.2.2.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

ვინაიდან სკოლა გადის პირველად ავტორიზაციას ამ ეტაპზე სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები სკოლას შეფასებული არ აქვს, თუმცა სკოლას აქვს მზაობა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის .

1.2.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა
- ერთ წლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამეურვეო საბჭოს ოქმი 7 წლიანი სტრატეგიული და ერთ წლიანი სამოქმედო გეგმის ფინანსური მდგომარეობისა და ანგაირშების შესახებ.
- სტრატეგიული დაგეგმვის კითხვარი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულების მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილი საშტატო განრიგით სკოლის სტრუქტურული ერთეულებია ; უმაღლესი არჩევითი ორგანო - სამეურვო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დირექცია და ადმინისტრაცია, პედაგოგიური საბჭო, კათედრები, დისციპლინური კომიტეტი. ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი ,,ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა", რომელშიც არ არის განსაზღვრული სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი უფლება-მოვალეობები. (ბრძანება N 62, 10.12. 2024). **წარმოდგენილ დოკუმენტში არ არის გაწერილი საშტატო განრიგით დამტკიცებული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები.** იგი არ აზუსტებს სკოლის სტრუქტურით გათვალისწინებული ერთეულების/თანამშრომლის საქმიანობის აღწერას. **სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები არც სკოლის შინაგანაწესშია განსაზღვრული. შესაბამისად, მნიშვნელოვანია,** რომ გაიწეროს საშტატო განრიგით გათვალისწინებული სტრუქტურული და თანამედებობრივი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები. ამასთანავე, აღნიშნული დოკუმენტი არის ზოგადი ხასიათის, დოკუმენტის მე 11 მუხლი არ არის მკაფიოდ ფორმულირებული. **სკოლას მიეცა რჩევა**, რომ გამართოს წარმოდგენილი დოკუმენტი. **ამავდროულად წარმოდგენილი დოკუმენტი დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით N 62. გამომდინარე იქედან, რომ სკოლას ხელმძღვანელობს არჩეული დირექტორი, შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ დოკუმენტი დამტკიცდეს ამავე დოკუმენტის მე-11 მუხლის თანახმად.**

სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. სკოლის დირექცია შედგება დირექტორისა და ბუღალტრისაგან. სკოლის ადმინისტრაცია შედგება საქმისმწარმოებელის, ბიბლიოთეკარისგან. ხოლო ტექნიკური პერსონალი შედგება დარაჯებისა და დამლაგებლისაგან. სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ხარისხის მართვის ჯგუფი (ბრძანება N 27, 2024 წელი, 27 სექტემბერი.) რომელიც პასუხისმგებელია ხარისხის მართვასა და სკოლის სასწვლო პროცესებზე. დოკუმენტაციის შესწავლისა და მოსწავლეებთან გასაუბრების შედეგად ასევე დადგინდა, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა ხელმძღვანელობს მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებითა და თვითმმართველობის ქცევის კოდექსით.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივლისი - 2026 1 სექტემბერში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება; გაიწეროს საშტატო განრიგით გათვალისწინებული სტრუქტურული და თანამედებობრივი ერთეულების ფუნქცია მოვალეობები. დოკუმენტი დამტკიცდეს უფლებამისილი სტრუქტურული ერთეულის - სამეურვეო საბჭოს მიერ.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.1.1 შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

თანამშრომელთა ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია მხოლოდ გაფორმებულ ხელშეკრულებებში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტები; შინაგანაწესი, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, სკოლის სტრუქტურა - არ არის გაწერილი სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციები და პასუხისმგებლობები.

სკოლაში ვიზიტის დროს მკაფიოდ გამოიკვეთა, რომ სტრუქტურულ ერთეულებსა და თანამშრომლებს შორის, როგორც ფუნქციები, ისე პასუხისმგებლობები რეგულირდება მხოლოდ ხელშეკრულების საფუძველზე. ისეა გადანაწილებული, რომ მათ შორის დამყარებულია ჯანსაღი, შედეგზე ორიენტირებული ურთიერთობა.

3.1.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუშები
- კათედრის სამოქმედო გეგმა
- თვითმმართველობის დებულება
- კათედრის დებულება
- მასწავლებლის კონკურსის ჩატარების წესი
- პედაგოგიური საბჭოს დებულება
- დანართი სკოლის სტრუქტურა
- შეფასების ვერიფიკაციის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლაში პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის: სკოლის წესდების, ეროვნული სასწავლო გეგმის და შინაგანაწესის და პერსონალთა გაფორმებული ხელშეკრულებების შესაბამისად. სკოლის შინაგანაწესი არეგულირებს უსაფრთხოებისა და სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებს, შრომითი ურთიერთობის წარმოშობასა და შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა/საბოლოო ანგარიშსწორებას, სამუშაო და დასვენების დროს და შრომის ანაზღაურების პირობებს, შვებულების ხანგრძლივობასა და მიცემის წესს, წახალისებას და დისციპლინურ პასუხისმგებლობის სახეებს. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკით რეგულირდება ახალი თანამშრომლის-მასწავლებლის აყვანა (შესაბამისობაშია მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის დამტკიცების შესახებ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის ბრძანება №174/ნ - თან. 20 აგვისტო, 2019 წ), პერსონალის შეფასების ზოგადი პოლიტიკა, თანამშრომლის ახალ გარემოში ადაპტაციის ხელშეწყობა. სკოლის. **3.1.2.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

სკოლა საწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით მიმართავს პრევენციულ და ინტერვენციულ ღონისძიებებს. კერძოდ, მასწავლებლის სამსახურში გამოუცხადებლობის შემთხვევაში ხდება მისი იმავე საგნობრივი ჯგუფის სხვა მასწავლებლით ჩანაცვლება და საგაკვეთილო ცხრილის მოდიფიცირება. მასწავლებელთა შეცვალა-გაცვლას დაწესებულება აკონტროლებს ჩანაწერებით, სპეციალურად ამისთვის გამოყოფილ ჟურნალში. ამავდროულად მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულების ერთ-ერთი პუნქტით დასაქმებულის ვალდებულებაა შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ სხვა მასწავლებლის მიერ გაკვეთილის გაცდნისას ჩაატაროს შესაბამისი გაკვეთილი. სკოლის შინაგანაწესის თანახმად ახალი კადრის შერჩევისას სკოლა არასასურველი შედეგის პრევენციის მიზნით საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან ერთად ითვალისწინებს მის

პიროვნულ თვისებებს და ცნობებს ნასამართლობის შესახებ (მხოლოდ მასწავლებლებზე) და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ. სკოლის შინაგანაწესი ითვალისწინებს პერსონალის წახალისების და გადაცდომის და დისციპლინურ პასუხისმგებლობის ზომებს. **სკოლას მიეცა რჩევა,** მკაფიოდ განსაზღვროს ინტერვენციული მართვის საკითხები. სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით, ვაკანტური ადგილების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსების ამსახველი დოკუმენტებით (ოქმები, ბრძანებები) დადგინდა, რომ სკოლაში მასწავლებლის/ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტის ვაკანტური ადგილების არსებობის შემთხვევაში, კვალიფიციური კადრის შესარჩევად ცხადდება კონკურსი. დასაქმების ვებ-გვერდზე teacherjobs.ge-ზე განთავსდება საკვალიფიკაციო მოთხოვნები. **3.1.2.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით (N 45, 02 სექტემბერი, 2025 წ.) საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლას ასევე შემუშავებული და დამტკიცებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სადაც სკოლას გაცხადებული აქვს, რომ ადამიანური რესურსების მოზიდვა და შენარჩუნება წარმოადგენს თანმიმდევრულ პროცესს, აგრეთვე სკოლაში დასაქმების მსურველთა, დასაქმებულთა მიმართ დაწესებულების მიერ წაყენებულ მოთხოვნებს და მათი შესრულების ანალიზს. დოკუმენტი აგრეთვე გულისხმობს ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვასა და წარმართვას, რომ მაქსიმალურად შეეწყოს ხელი ორგანიზაციის წინაშე მდგარი მიზნების მიღწევას როგორც ხანმოკლე, ისე ხანგრძლივ პერსპექტივაში. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრების გზით დადგინდა, რომ საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. თუმცა, სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით და მასწავლებელთა ვაკანსიის ვებ.გვერდის (teacherjobs.ge-ზე) გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსები რამდენიმე შემთხვევაში დარღვეული იყო ვაკანსიაზე განაცხადის წარდგენის ვადები. მოქმედი კანონმდებლობის თანახმად განცხადებების წარდგენის ვადა **განისაზღვრება სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით, რომელიც არ შეიძლება იყოს 5 კალენდარულ დღეზე ნაკლები. სკოლის მხრიდან კი ზოგიერთ ვაკანსიაზე კონკურსი გამოცხადებული 3 ან 4 კალენდარული დღე. შესაბამისად**

დარღვეულია კანონმდებლობით განსაზღვრული საკონკურსო განაცხადებების წარდგენის ვადები. მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ დაიცვას განცხადებების წარდგენის მინიმალური ვადები. შერჩევითობის პრინციპით თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა მასწავლებლის პირად საქმეში მოთავსებულია ნასამართლობის ცნობა და სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ, აგრეთვე ცნობები უფლების ჩამორთმევის შესახებ.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივლისი - 2026 1 სექტემბერში.
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ მითითებულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.1.2.3 ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება."

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას. პედაგოგებთან გაფორმებულია მათი კვალიფიკაციის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულებები, რომელიც შესაბამისობაშია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის №174/ნ ბრძანების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №959 „საჯარო სკოლის დირექტორსა და მასწავლებელს შორის დადებული შრომითი ხელშეკრულების სავალდებულო პირობების დამტკიცების შესახებ" მოთხოვნებთან. პირადი საქმეების და დადებული ხელშეკრულებების შესწავლის შედეგად მტკიცდება, რომ მიმდინარე ხელშეკრულებები დადებულია კანონთან შესაბამისობაში. ვიზიტის დროს სკოლაში დასაქმებული იყო 28 თანამშრომელი, მათ შორის 19 პედაგოგი; 14 უფროსი სტატუსის მქონე მასწავლებელი, ერთი მენტორი. სკოლას დროებითი ხელშეკრულება ჰქონდა გაფორმებული პედაგოგებთან, რომლებსაც არ ჰქონდათ დადასტურებული სტატუსი. ხელშეკრულება გაფორმებული **იყო, როგორც შემცვლელი სტატუსის მქონე მასწავლებელთან. დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადასტურდა, რომ აღნიშნული პედაგოგების საათობრივი დატვირთვა აღემატებოდა 9 საათს. სკოლას ვაკანსიები ჰქონდა გამოცხადებული სექტემბერსა და იანვარში. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა გამოცხადებული ვაკანსიები შესაბამის პოზიციებზე.**
ვიზიტის დასრულების შემდგომ სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი მტკიცებულება. ვაკანსია გამოცხადებულია შესაბამისი წესით.

3.1.2.4 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრუქტურული ერთეულების ოქმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობის მაღალი კულტურა, რომელიც ეფუძნება ურთიერთპატივისცემასა და პროფესიულ ნდობას როგორც თანამშრომლებს შორის, ისე მოსწავლეებსა და სკოლაში დასაქმებულ პირებს შორის. აღნიშნული გარემო ქმნის ხელსაყრელ პირობებს თითოეული წევრის შესაძლებლობების სრულფასოვანი გამოვლენისა და განვითარებისათვის. კათედრები ერთობლივად გეგმავენ და ახორციელებენ საგანმანათლებლო პროექტებს, რაც პირდაპირ აისახება სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე.საგნობრივი კათედრები სისტემურად მუშაობენ სწავლის ხარისხის გაუმჯობესების მიმართულებით, რაც მოიცავს სხვადასხვა საგანმანათლებლო საკითხის კოლეგიალურ განხილვას, შემაჯამებელი დავალებების ანალიზს, თანამედროვე პედაგოგიური მეთოდების დანერგვასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავებას, ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის მიერ ინიცირებული საკითხების, პროექტებისა და ღონისძიებების მხარდაჭერასა და მათი განხორციელების ხელშეწყობას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი (დირექტორის ბრძანება N 11, 2025 წლის 10 იანვარი) სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, (ბრძანება N 27, 27 სექტემბერი, 2024 წელი) რომელიც დებულებით განსაზღვრული პერიოდულობით აკვირდება მასწავლებელთა საგაკვეთილო საქმიანობას და უზრუნველყოფს განმავითარებელი შეფასების მიწოდებას, რაც ემსახურება პედაგოგთა პროფესიული ზრდისა და სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას. ამასთან, თითოეული თანამშრომლის ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია ორმხრივ ხელშეკრულებებში, რაც უზრუნველყოფს პასუხისმგებლობების მკაფიო განაწილებას და ორგანიზაციული პროცესების ეფექტიან მართვას.

3.1.2.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის საგნობრივი კათედრების წარმომადგენლებთან და დირექციასთან გასაუბრებით დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება წარმატებული გამოცდილების აღიარება და გაზიარება, რაც გამოიხატება დირექციის მხრიდან თანამშრომლისადმი სიგელის ან სერტიფიკატის გადაცემით.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წახალისების ფორმები, კერძოდ: პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის, სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. სკოლს შემუშვებული აქვს სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები. (ბრძანება N 55, 2024 წლის 10 დეკემბერი) აღნიშნულიდან გამომდინარე დგინდება, რომ სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარების და გაზიარების მექანიზმი და **3.1.2.6 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- თანამშრომლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები
- პირადი საქმეების ნიმუშები
- emis teachers თანამშრომლების სია
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ბრძანება პრემიაზე
- მასწავლებელთა კონკურსის ჩატარების წესი
- პედსაბჭოს ბოლო სხდომა
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები
- შინაგანაწესი
- საინფორმაციო სისტემის მონაცემები;
- მასწავლებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები.
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების ინსტრუქციები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის შეფასების კრიტერიუმები (დირექტორის ბრძანება N 55, 2024 წლის 10 დეკემბერი) რომლითაც განსაზღვრავს სამუშაოს შესრულების ხარისხს. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებისა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას. დოკუმენტი არეგულირებს დასაქმებულთა მიერ სამუშაოს შესრულების ხარისხის მართვასთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს, რომლის მიხედვითაც ადამიანური რესურსების მართვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს შესრულებული სამუშაოს ხარისხის გაუმჯობესება. აღნიშნული პროცესი ემსახურება დასაქმებულთა განვითარებასა და მათი შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოვლენის ხელშეწყობას, შესაძლებელს ხდის დასაქმებულთა კვალიფიციურობის ანალიზს სამუშაოს ძირითად მოთხოვნებთან, დასახულ მიზნებსა და ამოცანებთან მიმართებაში. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება (27 სექტემბერი, 2024 წ.) რომლიც განსაზღვრავს პროფესიული განვითარების საჭიროებებს და ადგენს მათ მექანიზმებს.

3.2.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ადმინისტრაციასთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლაში პერსონალის პროფესიული განვითარება ხდება სისტემურად, გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე. პერსონალის მხარდაჭერის მიზნით სკოლაში ფუნქციონირებს **ხარისხის მართვისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი**, რომელიც სკოლის პერსონალის საჭიროების შესაბამისად აანალიზებს ვითარებას, განსაზღვრავს აქტივობებს და ადასტურებს მათ განხორციელებას. აღნიშნული აქტივობები აისახა 2025-2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში და უზრუნველყოფს სისტემურ, უწყვეტ პროფესიულ განვითარებას.

3.2.1.2 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა სისტემატიურად ერთვება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ განხორციელებულ სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში. პერსონალის მიზნობრივი პროფესიული განვითარების დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით სკოლა გამოთქვამს სრულ მზაობას პროფესიული განვითარების მიზნით მიიღოს გარედან შემოთავაზებული სერვისებიც. მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ აქტიურად მიმდინარეობს მასწავლებელთა ურთიერთდასწრება და უკუკავშირის მიცემა კოლეგებს შორის, რაც სისტემურად უზრუნველყოფს პედაგოგებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარებას, ძლიერი მხარეების გამოვლენას და გაუმჯობესების საჭიროებების დადგენას. აღნიშნული პრაქტიკა კიდევ უფრო ამყარებს სკოლაში თანამშრომლურ კულტურას და ზრდის პროფესიული განვითარების ხარისხს. **3.2.1.3 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სკოლას აქვს პრაქტიკა, უზრუნველყოს ახალი თანამშრომლის სკოლასთან ადაპტაციის პროცესის ეფექტური მართვა. კათედრის წევრები არიან კეთილგანწყობილ და კოლეგიალურ ურთიერთობაში ერთმანეთთან. სკოლაში იგრძნობა კოლეგიალური სამუშაო გარემო, რითაც შეგვლიძლია დავასკვნათ, რომ ახალ თანამშრომელს ადაპტაცია არ გაუჭირდება. სკოლა ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის მიზნით ახორციელებს სხვადასხვა ღონისძიებებს: სკოლის შინაგანაწესის გაცნობა, კოლექტივისთვის ახალი თანამშრომლის წარდგენა პედსაბჭოზე/შეხვედრაზე, თანამშრომლის დამატება სკოლის საკომუნიკაციო დახურულ ჯგუფში. ახალი თანამშრომლის მიღებასთან და მისი სოციალიზაციისათვის საჭირო პროცედურებთან დაკავშირებული

ცალკეული საკითხები გაწერილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტში. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს ,,ახალი თანამშრომლის ადაპტაციის დებულება.“

3.2.1.4 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები

სკოლა ორიენტირებულია **აკადემიური პერსონალის უწყვეტ განვითარებაზე** და აქტიურად მხარს უჭერს პედაგოგების მიერ წამოწყებულ ინიციატივებსა და შემოქმედებით პროექტებს. ამ მიზნით იმართება კათედრების სხდომები და საერთო სამუშაო შეხვედრები, სადაც განხილულია სიახლეები, იკვეთება მასწავლებელთა პროფესიული საჭიროებები და იგეგმება შესაბამისი ინტერვენციები.პერსონალის მოტივაციისთვის სკოლაში არსებობს **ფინანსური და არაფინანსური წახალისების მექანიზმები**. გამოყოფილია ბიუჯეტი ინიციატივების მხარდასაჭერად. სკოლა ასევე მხარს უჭერს პედაგოგების ჩართულობას **პროფესიულ ქსელებში და ასოციაციებში**, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, პროფესიული კავშირების გაფართოებას და თანამედროვე პრაქტიკის დანერგვას სასწავლო პროცესში. წერილობითი სახით დოკუმენტი, რომლიც დაარეგულირებს პერსონალის ინიციატივების წახალისების პროცესს გარდა შინაგანაწესისა და ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტისა, რომლებიც განსაზღვრავენ პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის ან/და საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის დასაქმებულის მიმართ წახალისების ფორმებს არ არსებობს.

3.2.1.5 ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- ახალი თანამშრომლის ადაპტაციის დებულება
- გაკვეთილზე დასწრების ფორმა
- ხარისხისა და შეფასების ვერიფიკაციის ჯგუფის დებულება

- შეფასების ვერიფიკაციის უზრუნველყოფის ჯგუფის დებულება

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, (ბრძანება N 17) რომელიც ადგენს ხარისხის მართვის ძირითად პრინციპებს, მექანიზმებსა და პროცესებს, უზრუნველყოფს სკოლის ხარისხის სისტემურ კონტროლსა და ეფექტურ მართვას. დადგინდა, რომ სკოლის ორგანიზაციული პროცესების მართვა განხორციელებულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე, მათ შორის შრომის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ და სისტემურ მართვას.

ინდიკატორის (3.3.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლა, ორგანიზაციული პროცესების მართვას, ახორციელებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და შიდა დოკუმენტაციის საფუძველზე, მათ შორის შრომის შინაგანაწესის, სასკოლო სასწავლო გეგმისა და სხვა მარეგულირებელი დოკუმენტების მიხედვით, რაც უზრუნველყოფს საქმიანობის სამართლებრივ ჩარჩოში მოქცევას და პროცესების სტრუქტურირებულ მართვას. შინაგანაწესში გაწერილია საკადრო პროცესები: შრომითი ურთიერთობების დამყარებისა და შეწყვეტის წესები, თანამშრომელთა წახალისების ფორმები და მათი გამოყენების პროცედურები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესები, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, აგრეთვე მასწავლებლისა და დამრიგებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. შიდა სასკოლო დოკუმენტებით სკოლის მიერ იდენტიფიცირებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობით, ძირითად, ასევე დამხმარე პროცესები. კერძოდ, მოცემული საკითხები რეგულირდება ხარისხის პოლიტიკის შესახებ დოკუმენტით, სკოლის შინაგანაწესით, სასკოლო სასწავლო გეგმით, საქმისწარმოების წესით, პერსონალური მონაცემების დაცვის წესით, (დირექტორის ბრძანება N 23, 2 სექტემბერი, 2025 წელი.) აღნიშნული დოკუმენტები მოიცავს საკითხებს თუ რა ნაბიჯების გადადგმით, რა ეტაპების გავლით ხორციელდება ესა თუ ის პროცესი.

ინდიკატორის (3.3.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესში დეტალურადაა აღწერილი პედაგოგებისა და მოსწავლეების დისციპლინარული გადაცდომების სახეობები. შესაბამისად, გასაჩივრებისა და საჩივრების დროს სკოლა ეფუძნება აღნიშნულ დოკუმენტს. სკოლაში არსებობს საჩივრების განხილვის სტრუქტურული ერთეული-დისციპლინური კომიტეტი. სასკოლო საზოგადოების მხრიდან

გადაწყვეტილების გასაჩივრების ფაქტს ადგილი არ ჰქონია. სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი დისციპლინური გადაცდომების განსახილველად, მასში თანაბარი რაოდენობით არიან წარმოდგენილი მშობლები (სამეურვეო საბჭოს წარდგენით) და მასწავლებლები (პედსაბჭოს წარდგენით); საჭიროებების შემთხვევაში სკოლაში შეიქმნება სააპელაციო კომისია. სკოლამ მტკიცებვულებად ასევე წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, (ბრძანება N 4. 10.01.2025 წელი.) აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორის (3.3.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლას პერსონალთან და მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს ხელშეკრულება, სადაც გაწერილია მათი უფლება-მოვალეობები. პერსონალთნ გაფორმებული ხელშეკრულებების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია შინაგანაწესის გაცნობა. სკოლის მიერ შემუშავებული დოკუმენტით „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ განსაზღვრულია სასკოლო საზოგადობისათვის სკოლის მარეგულირებელი აქტების და სასკოლო საზოგადოების უფლება-მოვალეობების გაცნობის ფორმები, ვადები, პასუხისმგებელი პირები და მტკიცებულებები.

სკოლამ მტკიცებულებად ასევე წარმოადგინა მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის შესახებ დოკუმენტი, აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის ინსტრუქციას. სკოლის მიერ დადგენილი გასაჩივრების მექანიზმები შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან და შესაძლებლობას იძლევა, მოხდეს წარდგენილ საჩივრებზე ეფექტური რეაგირება.

ინდიკატორის (3.3.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მასწავლებლებთან და მშობლებთან დადებული ხელშეკრულებები
- სკოლის შინაგანაწესი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა
- განცხადებებისა და საჩივრების განხილვის წესი
- ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი
- "სკოლის თანამშრომელთა და სტრუქტურული ერთეულების საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლება მოვალეობები";

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლა ახორციელებს აქტიურ კომუნიკაციას სასკოლო საზოგადოების წევრებთან სტრუქტურულ ერთეულებთან, პედაგოგიურ კოლექტივთან, კათედრებთან, მოსწავლეთა თვითმმართველობასთან და სამეურვეო საბჭოს წარმომადგენლებთან. საჭიროების შემთხვევაში პედაგოგებთან ურთიერთობა ხორციელდება ელექტრონული პლატფორმების გამოყენებით. სკოლას აქვს შექმნილი სოციალური ქსელის გვერდი და Facebook ჯგუფი „ხორშის საჯარო სკოლა", სადაც ხდება ცვლილებების წინასწარი გაცნობა. საჭიროების შემთხვევაში პროექტები ან დოკუმენტები განიხილება სასკოლო საზოგადოების წინაშე დასამტკიცებლად. საჯარო განხილვის შემდეგ საბოლოო ვარიანტი გამოიფინება თვალსაჩინო ადგილზე და ხდება ხელმისაწვდომი ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის. სკოლა მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღებისა და მასზე რეაგირების სხვადასხვა მექანიზმს იყენებს. საზოგადოებასთან ეფექტიანი კომუნიკაციისათვის სკოლას შემუშავებული აქვს „საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი", რომლის ერთ-ერთი მიზანიცაა ინფორმაციის საჯაროობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, უკუკავშირის მიღება და გაანალიზება. დაწესებულებისთვის კომუნიკაციის ძირითად საშუალებას წარმოადგენს სკოლის ოფიციალური ვებ-გვერდი, ელექტრონულ ფოსტა: Khorshi@mes.gov.ge, სოციალური ქსელი თიმსის პლათფორმა და ასვე დამრიგებლებისა და სკოლის დირექციის მიერ ჩატარებული პირისპირ შეხვედრები სასკოლო საზოგადოებასთან. სკოლა გეგმავს საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში

მიღებული უკუკავშირის შედეგები გამოიყენოს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად, რისთვისაც განხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხებით მიღებული შეკითხვების **გაზიარება**. ვიზიტისას განხორციელებული ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლა სასკოლო საზოგადოებისა და მშობლების ინფორმირება ხდება სკოლაში თვალსაჩინო ადგილას გამოკრული სტენდის, სოციალური ქსელების, სატელეფონო ზარების, სმს-ების მეშვეობით, მშობელთა კრებებსა და პირად შეხვედრებზე. მოსწავლეებს შესაძლებლობა აქვთ თვალყური ადევნონ საკუთარ შედეგებსა და პროგრესს, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე სასწავლო წლის ბოლოს სკოლის ელექტრონულ ჟურნალში. ელექტრონულ ჟურნალზეწვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. სკოლაში შემოსული მოქალაქეების ინფორმირებაზე, მათ შეკითხვებზე პირველადი პასუხების გაცემის ვალდებულება დაკისრებული აქვს საქმისმწარმოებელს. სკოლის შესახებ ყველა საჭირო და მნიშვნელოვანი ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდსა სკოლის სოციალურ ქსელში, სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მისთვის საინტერესო ინფორმაციის მოძიება.

ინდიკატორის (3.3.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა

სკოლაში კოლეგიალური მმართველობის მექანიზმები უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრების აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში, გადაწყვეტილების მიღების პროცესებში და სტრატეგიულ დაგეგმვაში, რაც ზრდის გამჭვირვალობას და ერთობლივ პასუხისმგებლობას. ფუნქციონირებენ პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დისციპლინური კომიტეტი და მრჩეველთა საბჭო, რომლებიც რეგულარულად იკრიბებიან. პედაგოგიური საბჭო განიხილავს სასწავლო პროცესებსთან დაკავშირებულ საკითხებს, სამეურვეო საბჭოში წარმოდგენილია მასწავლებლები, მშობლები და მოსწავლეები, რაც უზრუნველყოფს სხვადასხვა ხედვის გათვალისწინებას სკოლის განვითარებაში. წელიწადში მინიმუმ ორჯერ ტარდება საერთო კრებები, სადაც განიხილება მნიშვნელოვანი საკითხები და მიღებულ გადაწყვეტილებებს მხარს უჭერს სასკოლო საზოგადოება. სკოლაში ასევე ხორციელდება ერთობლივი პროექტები და ღონისძიებები, რომელშიც აქტიურად არიან ჩართული სასკოლო საზოგადოების წევრები.

ინდიკატორის (3.3.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- კათედრის დებულება
- სასკოლო საზოგადოების კითხვარი და ანალიზი
- პედსაბჭოს ბოლო სხდომის ოქმი
- პედაგოგთა წლიური გამოკითხვის ნიმუში
- პედსაბჭოს დებულება
- სადამრიგებლო დებულება
- დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი დისციპლინურ კომიტეტის არჩევასთან დაკავშირებით;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების თარიღი განსაზღვრის თაობაზე ;
- მე-4 კლასის მშობელთა კრების ოქმი მეორე უცხოური ენის არჩევასთან დაკავშირებით;
- საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კომუნიკაციის წესი

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ორ შენობა-ნაგებობაში; დაწყებითი საფეხური - სოფელი დიდი ხორში, ორსართულიანი შენობა-ნაგებობა. დაწყებითი და საბაზო საფეხური - სოფელი ხორში, ორსართულიანი შენობა-ნაგებობა. სკოლას არ ემსახურება მანდატურის სამსახური. ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული პირი - (ბრძანება N28, 18.04. 2019 წელი წ.) ორივე შენობა აღჭურვილია კანონმდებლობით დადგენილი პარამეტრების შესაბამისი ვიდეო-სათვალთვალო სისტემით. სკოლის საზოგადოების წევრების ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სკოლის შენობაში განთავსებულია სახანძრო აღჭურვილობა. მოწესრიგებული და სრულად შემოღობილია სკოლის ძირითადი კორპუსი სოფელ ხორშში. **თუმცა ნაწილობრივ არის შემოღილი დაწესებულების მეორე ადმინისტრაციული შენობა სოფელ დიდ ხორშში. გამომდინარე იქედან, რომ სკოლას უკან ესაზღვრება ტყე, შესაძლოა არ იყოს დაცული ადამიანების უსაფრთხოება სკოლის მეორე შენობაში.** დაწესებულებამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა შენობის მდგრადობასთან დაკავშირებით დასკვნა, (N 001155523) რომლის თანახმადაც სოფელ ხორშში მდებარე (ს/კ 44.12.26.003) შენობის ტექნიკური მდგრადობა დამაკმაყოფილებელია.

მე-2 კორპუსი (ს/კ 44.12.23.001) საერთო ფართი შეადგენს 10748.00 - სკოლამ წარმოადგინა მიმართვა ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროსთან (MES 6 26 0000196395 . 20. 02.2026 წელი) სკოლის შენობის ექსპლუატაციის დასკვნის მომზადების შესახებ. ვიზიტის პროცესში სკოლას არ ჰქონდა დასკვნა მე-2 კორპუსის მდგრადობასთან დაკავშირებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილია შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 27.02.2026 წ. - 27.02.2027 წ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ინდიკატორის დაკმაყოფილება.

სკოლამ ვერ წარმოადგინა შსს სსდ-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული და დირექტორის მიერ დამტკიცებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა; სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 27.02.2026 წ. - 27.02.2027 წ.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ინდიკატორის დაკმაყოფილება.

სკოლას არ ჰყავს დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. **სკოლას მიეცა რჩევა,** რომ დირექტორის ბრძანებით განსაზღვროს სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

სკოლამ ვერ წარმოადგინა შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენისა და შესაბამისი წინადადების მომზადების შესახებ დასკვნა. თუმცა სკოლამ წარმოადგინა წერილი - MES 26 0000191249, 19.02.2026 წ. - დაწესებულების ორივე კორპუსის შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნასთან დაკავშირებით. ,,შრომის უსაფრთხოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მოთხოვნების შესაბამისად სკოლას გამოყოფილი არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი. მოცემული ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით სკოლას **მიეცა რჩევა** - გამოყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს შესაბამის აკრედიტებულ ორგანიზაციაში გავლილი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა. სკოლას განემარტა, რომ შეუძლია აიყვანოს ან დასაქმებული პირებიდან გამოყოს და სათანადოდ გადაამზადოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი ან უფლებამოსილია გააფორმოს ხელშეკრულება ორგანიზაციასთან, რომელიც სკოლას გაუწევს შესაბამის მომსახურებას შრომის უსაფრთხოების.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის მაიწი - 2026 წლის სექტემბერი. სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება; უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სრულად შემოიღობოს სკოლის ტერიტორია, რათა დაცული იყოს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოება.

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.1 შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება".

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის ძირითად კორპუსში (სოფელი ხორში) პირველ სართულზე მოწყობილია ექიმის კაბინეტი, რომელიც აღჭურვილია ყველა საჭირო ინვენტარით. პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მიზნით არსებობს საჭირო ინვენტარი და პირველადი დახმარების საშუალებები. სკოლას შემუშავებული აქვს დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,, სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის შესახებ." (ბრძნება N 6, 10 იანვარი, 2025 წელი) სკოლას ჰყავს ექთანი, რომელთანაც გაფორმებულია შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება. მისი კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. სკოლას გაწერილი აქვს პირველადი გადაუდებელი დახმარების აღმოჩენის მექანიზმები. სამედიცინო კაბინეტის

ვიზუალური დათვალიერებითა და წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კანონმდებლობით დადგენილი წესით არის ნაწარმოები გაწეული სამედიცინო მომსახურების სააღრიცხვო ფორმა, სკოლა აწარმოებს სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალს.

კაბინეტი უზრუნველყოფილია როგორც ბუნებრივი, ისე ხელოვნური განათებით, ნიავდება ბუნებრივი ვენტილაციის გზით და აღჭურვილია პირველადი დახმარების გასაწევად საჭირო დანადგარებითა და ინვენტარით. მათ შორისაა: სამედიცინო ტახტი, სასწორი, სიმაღლის საზომი, საკაცი, მაცივარი და შესაბამისი კარადები. აღნიშნულ ინვენტარში განთავსებულია სკოლის გარემოში დაშვებული მედიკამენტები, ანტისეპტიკური და შესახვევი საშუალებები.

სკოლის მეორე კორპუსში (სოფელი დიდი ხორში) სადაც სწავლება მიმდინარეობს დაწყებით საფეხურზე, არ არის მოწყობილი სამედიცინო კაბინეტი. აღნიშნულ კორპუსებს შორის დაშორება არის 10 კილომეტრი. სკოლამ ვერ წარმოადგინა მტკიცებულება/წესი, თუ როგორ უზრუნველყოფს პირველადი დახმარების აღმოჩენას აღნიშნულ კორპუსში დაწყებით საფეხურზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის სექტემბერი - 2027 წლის ივნისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.4.1.2 შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი. მორიგე მასწავლებელბის და სკოლის დარაჯი. სკოლაში შექმნილია მორიგეობის განრიგი, მასწავლებლები მორიგეობენ დასვენებაზე დერეფნებში და ყურადღებას აქცევენ მოსწავლეებს, დამრიგებელი დილით აკონტროლებს და აღწერს დაგვიანებულ მოსწავლეებს, უკავშირდება მოსწავლის ოჯახს, ადგენს გაცდენის მიზეზს. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია, რომ აკრძალულია სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირთა სკოლის შენობაში ან მიმდებარე ტერიტორიაზე შესვლა, სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. დაწესებულებაში ფუნქციონირებს სტრუქტურული ერთეული-მრჩეველთა საბჭო, რომლის კომპეტენციებშია სკოლის უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით სხვადასხვა რეკომენდაციების შემუშავება და სკოლის დირექტორისთვის წარდგენა.

როგორც უკვე აღინიშნა, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, შენობაში თვალსაჩინო ადგილას განთავსებულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწრაფო დახმარების ცხელი ხაზის ნომერი (112), რაც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და საჭიროების შემთხვევაში დროულ რეაგირებას.

ინდიკატორის (3.4.1.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან გამართული ინტერვიუების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლა აქტიურად უზრუნველყოფს ემოციურად და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო სასწავლო გარემოს. დამრიგებლები მოსწავლეებს რეგულარულად აწვდიან ინფორმაციას მათ უფლებებსა და პასუხისმგებლობებზე, რაც ხელს უწყობს თვითდისციპლინის, პასუხისმგებლობის გრძნობისა და ჯანსაღი ურთიერთობების ჩამოყალიბებას.

სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის ფართო ეზო, სპორტული მოედანი და მოსახერხებელი, განათებული კორიდორები, დამატებით უწყობს ხელს მოსწავლეთა სოციალურ ჩართულობას, ურთიერთობის კულტურის განვითარებას და პოზიტიური, ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

ინდიკატორის (3.4.1.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის ტერიტორიის დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლა ჯეროვნად უზრუნველყოფს სანიტარულ - ჰიგიენური ნორმების დაცვას. სკოლაში არსებობს გამიჯნული სანიტარული კვანძები, ცალკე ქალებისა და ცალკე კაცებისათვის. პედაგოგებისთვის და სხვა პერსონალისთვის. სანიტარული კვანძები უზრუნველყოფილია წყლისა და განათების უწყვეტი მიწოდებით, სათანადოდ აღჭურვილი, მოხერხებული, პრივატული, დაცული, სუფთა, საზოგადოების კულტურული და სოციალური განვითარების დონისათვის შესაფერისი, ხელმისაწვდომი სკოლის მოსწავლეებისა და პერსონალისათვის, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისათვის. სველი წერტილი უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით. სკოლაში სველი წერტილები განთავსებულია, მხოლოდ სკოლის პირველ სართულზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმების, თუმცა ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა განსაზღვრული სანიტარულ-ჰიგიენურ საშუალებებზე პასუხისმგებელი სკოლის საშტატო განრიგით განსაზღვრულია 2 დამლაგებელი, სკოლას აქვს ორივე სართულზე აღჭურვილი სველი წერტილები გოგონებისა და ვაჟებისთვის,

ასევე გათვალისწინებულია ადაპტირებული სველი წერტილები. აღნიშნულ სივრცეებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური სტანდარტები, უზრუნველყოფილია ონკანებით, ნიჟარებითა და თხევადი საპნით, რაც უზრუნველყოფს უსაფრთხო და ჰიგიენურ გარემოს მოსწავლეებისა და პერსონალისათვის.

ინდიკატორის (3.4.1.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტი, (ბრძნება N 23, 2 სექტემბერი, 2025 წელი წ.) რომელიც არეგულირებს სკოლის მიერ, სკოლის მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, შეგროვებული პერსონალური მონაცემების დაცვისა და დამუშავების წესებს და პროცედურებს. სკოლის პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის და მონიტორინგის მექანიზმების შესახებ დოკუმენტის თანახმად, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ჩაატაროს სისტემატური შეხვედრები (დასწრებით/ონლაინ) სკოლაში დასაქმებულებთან/მოსწავლეებთან და გააცნოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესები. ასევე, გააფრთხილოს იმ ღონისძიებების შესახებ, რომლებიც გატარდება პერსონალური მონაცემების კანონის დარღვევით დამუშავებასთან/გამოყენებასთან/გამჟღავნებასთან დაკავშირებით.

ინდიკატორის (3.4.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი, რომელიც არეგულირებს ინფორმაციის დაცულობასთან დაკავშირებულ საკითხებს. პერსონალურ ინფორმაციასთან წვდომა აქვს მხოლოდ დირექტორს და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პირს. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაცია (პირადი საქმეები, კოლეგიური ორგანოების სხდომის ოქმები), რომელიც არ არის აქტიურ მოხმარებაში, არქივდება და ინახება სპეციალურად გამოყოფილ ოთახში. ოთახი იკეტება გასაღებით, რომელიც ინახება პასუხისმგებელ პირთან.

დირექტორის განმარტებით, სკოლა კომპიუტერულ რესურსებს იყენებს უსაფრთხოდ, ინტერნეტთან კავშირი მიმდინარეობს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის (EMIS) საშუალებით, ხოლო ნებისმიერი გამოყენებული პროგრამა ლიცენზირებულია. საქმისწარმოებისა და ბუღალტრულ დოკუმენტაციაზე წვდომა აქვს მხოლოდ იმ პირებს, რომელთაც ეს უფლება კონკრეტულად დადგენილი აქვთ ხელშეკრულებით, რაც უზრუნველყოფს სკოლის ინფორმაციის დაცვის მაღალ დონეს.
ინდიკატორის (3.4.1.7.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლაში ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის დანერგილია რიგი მექანიზმები, რომელთა ეფექტიანობას დირექცია პერიოდულად აკონტროლებს. ადამიანური რესურსის დაცვას უზრუნველყოფს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი და 2 დარაჯი. ასევე მოქმედებს მორიგეობის სისტემა, რომელიც პასუხისმგებელია სკოლაში უსაფრთხო გარემოსა და სივრცის ზედამხედველობაზე.
სკოლის მრჩეველთა საბჭო პასუხისმგებელია უსაფრთხოების მართვის სისტემური გაუმჯობესების პროცესზე. საბჭოში ჩართულია ადმინისტრაციული და პედაგოგიური სტრუქტურების ყველა ძირითადი რგოლი, რაც ამყარებს კოლექტიურ პასუხისმგებლობას. მორიგეობის და მონიტორინგის სისტემა მნიშვნელოვნად ამცირებს ინციდენტების ალბათობას და აუმჯობესებს კონტროლის ხარისხს.
ინდიკატორის (3.4.1.8.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ექთნის ხელშეკრულება;
- **პერსონალური მონაცემების დაცვის წესი;**
- სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დადებითი დასკვნა;
- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;

- დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული - ფიზიკური უსაფრთხოების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და ადგილზე დათვალიერდა ფაქტობრივი მდგომარეობა, რომლის შედეგად დადგინდა, რომ სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო დაწესებულება საგანმანათლებლო საქმიანობას ახორციელებს ორ შენობაში - დაწყებითი საფეხური მიმდინარეობს ორ შენობაში; სოფელი ხორში და სოფელი დიდი ხორში. ხოლო საბაზო საფეხურის სწავლებას სკოლა ახორციელებს სოფელ ხორშში. სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, 1-ლი კორპუსი, სოფელი ხორში (N 44.12.26.003.) რომლის მიხედვითაც სკოლის შენობა და შესაბამისი მიწის ფართობი სახელმწიფო საკუთრებაა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით სარგებლობის უფლებით აქვს გადაცემული. (მიწის ფართობი; 13275.00) სკოლის ძირითადი შენობა რეაბიტირებულია და სრულად არის მოწესრუგებული. დაწესებულების 1-ლი კორპუსის სკოლის მატერიალური რესურსი საგანმანათლებლო

პროგრამის განხორციელების საშუალებას სრულად იძლევა. სკოლის სარგებლობაში არსებული ფართი (საკლასო ოთახები, გათბობის სისტემა, სასმელი წყლით უზრუნველყოფა, სკოლის დერეფანი, სკოლის ეზო, ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი და სახელოვნებო სივრცის კაბინეტი) საშუალებას იძლევა, რომ მოსწავლეებმა შეძლონ საგაკვეთილო პროცესის დრო ს სხვადასხვა სასწავლო თუ შემეცნებით აქტივობებში ჩართვა, შესვენებაზე კი სრულფასოვანი დასვენება. სკოლის ძირითადი შენობა განთავსებულია ორსართულიან შენობაში. დაწესებულებაში განთავსებულია საკლასო ოთახები; პირველ სართულზე 2 საკლასო ოთახი, სველი წერტირებული, მათ შორის ადაპტირებული. სპორტული დარბაზი. სამედიცინო ოთახი. ორი გასახდელი. სამასწავლებლო, დირექტორის კაბინეტი, დოკუმენტების საცავი და სამასწავლებლო. ბუფეტისთვის გათვალისწინებული სივრცე. მეორე სართულზე 6 საკლასო ოთახია: ბიბლიოთეკა, საუნებმისტეტყველო ლაბორატორიისთვის გათვალისწინებული სივრცე, კომპიუტერული ლაბორატორია. ორი სველი წერტილი ცალ-ცალკე, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი.
სოფელი დიდი ხორში დაწესებულება სასწავლო პროვესს ახორციელებს დაწყებით საფეხურზე. (წარმოების პროცესში აღნიშნულ შენობაში სწავლობდა 4 მოსწავლე) შენობა-ნაგებობა ორსართულიანია. ს/კ 44.12.23.001) საერთო ფართი შეადგენს 10748.00 კვ. ტერიტორია არ არის სრულად შემოღობილი. პირველ სართულზე არის ორი მოქმედი სასწავლო ოთახი. შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას. სკოლის სარგებლობაში არსებული ინფრასტრუქტურა სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების დაწესებულების სტანდარტებს და უზრუნველყოფს, როგორც ფორმალური, ისე არაფორმალური აქტივობების განხორციელების შესაძლებლობას. წარმოების პროცესში სკოლაში ირიცხებოდა 44 მოსწავლე.

ინდიკატორის (3.5.1.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის საერთო სარგებლობის სივრცეები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრისთვის სამუშაო დღეებისა და საათების განმავლობაში. დირექციასთან შეთანხმების საფუძველზე, აღნიშნული სივრცეების გამოყენება შესაძლებელია არასასწავლო პერიოდშიც - დასვენების, კომუნიკაციისა და თანამშრომლობის მიზნით.
ადმინისტრაციასთან ინტერვიუთი დადგინდა, რომ სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების განკარგვის წესი. თუმცა, მსგავსი წესის დოკუმენტირება ჯერ არ განხორციელებულა. **რის გამოც სკოლას მიეცა რჩევა:** შეიმუშაოს შესაბამისი

პროცედურები და რეგულაციები, რომლებიც განსაზღვრავს რესურსების ტიპებს, გამოყენების წესებსა და პასუხისმგებლობათა განაწილებას, რათა უზრუნველყოს მათი სამართლიანი, ეფექტიანი და უსაფრთხო გამოყენება.

ინდიკატორის (3.5.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

სკოლაში მე-2 სართულზე ფუნქციონირებს სასკოლო ბიბლიოთეკა, რომელშიც განთავსებულია მხატვრული ლიტერატურა, გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, სხვადასხვა სახის თვალსაჩინოება (პლაკატები,), რომლებიც ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისათვის. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება (ბრძანება N 2. 10.01. 2025 წელი) სკოლის ბიბლიოთეკის დებულების დამტკიცების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს ბიბლიოთეკით სარგებლობის წესსა და პირობებს. ვიზიტის დროს შემთხვევითი შერჩევის პრინციპით გადამოწმდა ბიბლიოთეკაში არსებული წიგნები და დადგინდა, რომ წიგნების ნაწილი არ არის დამუშავებული საბიბლიოთეკო წესის მიხედვით გამომდინარე იქედან, რომ წიგნების ნაწილი არ არის აღრიცხული. ბიბლიოთეკაში გამართულად ფუნქციონირებს ანბანური და თემატური კატალოგები, რაც ეხმარება მოსწავლეებსა და მასწავლებლებს სასურველი წიგნის მოძიებაში. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას სკოლის მიერ დადგენილი წესის მიხედვით. სკოლის ბიბლიოთეკა აღჭურვილია ბეჭდური რესურსებით, წიგნადი ფონდი სრულად შეესაბამება ეროვნულ სასწავლო გეგმასა და სკოლის საგანმანათლებლო პროგრამებს. ბიბლიოთეკაში არსებობს სამკითხველო სივრცე. შემუშავებულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები, რომლებიც განთავსებულია თვალსაჩინო ადგილას და ხელმისაწვდომია მოსწავლეებისთვის. ბიბლიოთეკარი აქტიურად ეხმარება მოსწავლეებს წიგნების შერჩევაში, ინფორმაციის მოძიებასა და სხვადასხვა საბიბლიოთეკო სერვისებით სარგებლობაში. გარდა ამისა, ბიბლიოთეკაში პერიოდულად იმართება ლიტერატურული ღონისძიებები, წიგნის განხილვები და სხვა სასწავლო აქტივობები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა კითხვის კულტურისა და საგანმანათლებლო ინტერესი განვითარებას.

ინდიკატორის (3.5.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

დაწესებულების ძირითად კორპუსში (სოფელი ხორში) სრულად არის შექმნილი ინკლუზიური გარემო, სადაც ყველა ბავშვს შეეძლება თავისი შესაძლებლობების გამოვლენა. სკოლას აქვს კომპიუტერული ლაბორატორია, ინტერნეტ ქსელში ჩართული კომპიუტერები. სკოლის შესასვლელში არის პანდუსი. შენობის პირველ და მეორე სართულებზე განთავსებულია ადაპტირებული სველი წერტილი. დაწესებულების პირველ კორპუსში დამონტაჟებულია ლიფტი, როგორც სართულებზე ხელმისაწვდომისათვის, ასევე სპორტულ დარბაზში ჩასასვლელად. სკოლას არა აქვს რესურს-ოთახი. თუმცა საჭიროების შემთხვევაში დაწესებულებას აქვს მზაობა, გამოჰყოს შესაბამისი სივრცე რესურს-ოთახის მოსაწყობად. სკოლის ძირითადი კორპუსის არსებული ინფრასტრუქტურა ქმნის უსაფრთხო, ინკლუზიურ და თანასწორ საგანმანათლებლო გარემოს. სკოლის **მეორე კორპუსი - სოფელი დიდი ხორში, არ არის ადაპტირებული, რის გამოც აღნიშნული შენობა-ნაგებობის ინფრასტრუქტურა არ ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2027 წლის ივნისი.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.5.1.4. შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“.

.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

დაწესებულების შენობა-ნაგებობები გამოირჩევა ფართო, ნათელი დერეფნებითა და საკლასო ოთახებით, რაც ქმნის კომფორტულ, ჯანმრთელ და ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ გარემოს სასწავლო პროცესისთვის. სკოლას აქვს დიდი ეზო, როგორც დახურული, ასევე ღია სპორტული მოედანი, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფიზიკური აქტივობისა და რეკრეაციული დასვენების შესაძლებლობას.

საკლასო ოთახები აღჭურვილია თანამედროვე სასწავლო ინვენტარით: ინდივიდუალური მერხებით, სასკოლო დაფებით, მასწავლებლის მაგიდებით, კარადებითა და სხვა საჭირო საგანმანათლებლო საშუალებებით. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი არიან სასკოლო სახელმძღვანელოებით და დამატებითი სასწავლო რესურსებით, რაც ხელს უწყობს საგნობრივი მასალის უკეთეს ათვისებას და სწავლების ხარისხის ამაღლებას.

ინდიკატორის (3.5.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფინანსური ანგარიშები ინვენტარის შეძენის დამადასტურებელი დოკუმენტები
- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი
- ლაბორატორიებით სარგებლობის წესი
- ამონაწერი რეესტრიდან

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები
3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

სკოლა სრულად აღჭურვილია ტექნოლოგიურად. გამართულად ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლის ბალანსზე ირიცხება 4 ერთეული სტაციონარული კომპიუტერი, 20 ერთეული ლეპტოპი, 2 პრინტერი, 3 ერთეული პროექტორი. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფტასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. გაკვეთილებზე და საზიარო სივრცეებში - ბიბლიოთეკა/კომპიუტერული ტექნოლოგიების ლაბორატორია - მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ელექტრონული რესურსების გამოყენების საშუალებას აძლევთ. სკოლას აქვს ჩამოყალიბებული ციფრული ტრანსპორმაციის ხედვა, რაც მჭიდრო კავშირშია სასწავლო პროცესებთან. სკოლა უზრუნველყოფილია ინტერნეტით, მათ შორის უკაბელო ინტერნეტით (Wi-Fi), რომელიც ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის სკოლას შენობის ნებისმიერ სივრცეში, რაც ხელს უწყობს თანამედროვე სასწავლო პროცესისა და ადმინისტრაციული საქმიანობის ეფექტიან განხორციელებას.

ინდიკატორის (3.6.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლაში მაქსიმალურად უზრუნველყოფილია ის, რომ კომპიუტერები და შესაბამისი მომსახურება ხელმისაწვდომი იყოს როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე პერსონალისთვის. სკოლის დირექციის განმარტებით მსურველებს შეუძლიათ ისარგებლონ სკოლაში არსებული ტექნოლოგიებით ისე, რომ ხელი არ შეეშალოს სასწავლო პროცესს. სკოლის მიერ გამოყოფილია კომპიუტერები ადმინისტრაციისათვის, მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის. საზიარო სივრცეებში განთავსებული ტექნიკის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელია ინფორმაციული ტექნოლოგიების პედაგოგი. აღნიშნული მექანიზმი უზრუნველყოფს ტექნოლოგიური რესურსების უწყვეტად და უსაფრთხოდ გამოყენებას.
ინდიკატორის (3.6.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფაქტობრივი მდგომარეობის დათვალიერების შედეგები;
- ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია.
- საჯარო სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

ხორშის საჯარო სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის სრული დაცვით. სკოლაში დანერგილია საქმისწარმოების წესი, რომელიც შემუშავებულია „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შესაბამისი ნორმატიული აქტების საფუძველზე. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების შიდა ინსტრუქცია, რომელიც არეგულირებს დოკუმენტების შექმნის, დამუშავების, რეგისტრაციის, შენახვისა და არქივირების პროცესებს. აღნიშნული ინსტრუქცია უზრუნველყოფს დოკუმენტბრუნვის ორგანიზებულ, გამჭვირვალე და ეფექტიან განხორციელებას. სკოლას შემუშავებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას, ადგენს დოკუმენტებსა და წერილებზე მუშაობის წესს, რომელიც სავალდებულოა ყველა თანამშრომლისთვის. სკოლის მიერ შემუშავებული წესი შესაბამისობაში მოდის მოქმედ კანონმდებლობასთან და აზუსტებდეს დოკუმენტების რეგისტრირების პროცედურებს, დოკუმენტების ფორმებსა და ტიპებს, გასული და შემოსული კორესპონდენციების რეგისტრაციის, დოკუმენტების შედგენისა და გაფორმების წესს. გამომდინარე იქედან, რომ სკოლაში საქმისწარმოება მატერიალურთან ერთად ხორციელდება ელექტრონული (,,eflow”) სისტემის საშუალებით, საქმისწარმოება მოიცავს ელექტრონულ წარმოებასთან დაკავშირებულ საკითხებს. წარმოების პროფესში მართვის ელექტრონული (,,eflow”) **სისტემის გადამოწმებისას დადგინდა, რომ ბრძანებების ნაწილი არ იყო ატვირთული შესაბამისი წესით. შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სრულად გაიმართოს მართვის ელექტრონული სისტემა შესაბამისი წესით.**

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმადაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2026 წლის სექტემბერში.

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, რომ აღნიშნულ ვადებში უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებული აქტივობების განხორციელება;

აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი 3.6.2.1. შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება.“

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. დანერგილია დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (eflow-ს სისტემა და ელ. ფოსტა khorshi@mes.gov.ge), რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტების ეფექტურ მიმოსვლას სკოლის ადმინისტრაციას, მასწავლებლებსა და სხვა თანამშრომლებს შორის. ელექტრონული სისტემა საშუალებას იძლევა ოპერატიულად შეიქმნას დოკუმენტები, დამუშავდეს, გაიგზავნოს და შეინახოს. Eschool ელექტრონულ ბაზაში შეტანილია სკოლის ყველა მასწავლებლისა და მოსწავლის პერსონალური მონაცემები; ელექტრონულ ჟურნალში ხდება მოსწავლეთა აღრიცხვა-შეფასება.

ინდიკატორის (3.6.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში. იგი წარმოადგენს განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის სერვერზე განთავსებულ ელექტრონულ მონაცემთა ბაზას, რომელიც აერთიანებს კანონმდებლობის საფუძველზე განსაზღვრულ ინფორმაციას, რომლის დამუშავება ხორციელდება მხოლოდ ავტორიზებული მომხმარებლების მიერ. სისტემაში ასახულია სკოლის, საგანმანათლებლო პროგრამების, სისტემაში ელექტრონულად მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაცია, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის.

ინდიკატორის (3.6.2.3) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სისტემატურად თანამშრომლობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადგილობრივ ორგანოსთან, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან, სამინისტროს სსიპ-ებთან და სხვა შესაბამის ინსტიტუტებთან.

ინდიკატორის (3.6.2.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლის ბრძანება პერსონალურ მონაცემთა დაცვისა და მონიტორინგის მექანიზმების წესს დამტკიცებაზე
- საჯარო სკოლის ბრძანება საქმისწარმოების წესის დამტკიცებაზე
- საჯარო სკოლის ფინანსური ანგარიში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს სრულყოფილი და მოქმედი ვებ-გვერდი, რომელიც რეალურად ასრულებს საინფორმაციო-საკომუნიკაციო ფუნქციას. ვებ-გვერდზე ატვირთულია ყველა საჭირო დოკუმენტი და შესაბამისი ინფორმაცია. საზოგადოების ინფორმირების მიზნით სკოლა აქტიურად იყენებს ფეისბუქ გვერდს, დახურული ჯგუფებს, რომლის საშუალებით შესაძლებელია სასკოლო საზოგადოებასან ინფორმაციის დროული მიწოდება. სკოლა ასევე იყენებს Teams-ის პლატპორმას, სკოლის სოციალური გვერდი

განახლებადია. სკოლის ადმინისტრაციის, დამრიგებლის და საგნის პედაგოგების მხრიდან აქტიურად ხდება ღონისძიებების, საგაკვეთილო პროცესების, არაფორმალური განათლების(ექსკურსია,ლაშქრობები) ამსახველი ფოტო მასალების .
ინდიკატორის (3.6.3.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლის სოციალური ქსელის ოფიციალურ გვერდზე რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია მიმდინარე და დასრულებული საგანმანათლებლო პროექტების, ღონისძიებების, კონკურსების, ინტელექტუალურ შეჯიბრებების, ოლიმპიადებისა და სხვა აქტივობების შესახებ.
აკადემიური მოსწრების მონაცემები განთავსებულია ელექტრონულ ჟურნალში, რომელიც ხელმისაწვდომია შესაბამის მასწავლებლებსა და მოსწავლეთა მშობლებისთვის. ინფორმაციის გაცვლა და მიმოცვლა ასევე ხორციელდება სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტის საშუალებით, რაც უზრუნველყოფს კომუნიკაციის ეფექტიანობას, მონაცემების უსაფრთხო დაცვას და ინფორმაციის დროულ მიწოდებას.
ინდიკატორის (3.6.3.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა აქტიურად იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. სკოლას დანერგილი აქვს უკუკავშირის მიღების მრავალფეროვანი მექანიზმები, როგორიცაა ონლაინ გამოკითხვები, მშობელთა კრებები, მოსწავლეთა თვითმმართველობის შეხვედრები და ელექტრონული ფოსტით მიღებული შენიშვნები და წინადადებები. ყველა მიღებული უკუკავშირი ანალიზდება სკოლის ადმინისტრაციის მიერ, განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე და ხდება მათი გათვალისწინება სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავებისას. მოსწავლეებთან და პედაგოგებთან ჩატარებულ შეხვედრებზე.
ინდიკატორის (3.6.3.2) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს სოციალური გვერდი და ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. ვებ-გვერდი სრულად ადაპტირებულია როგორც დესკტოპ, ისე მობილური მოწყობილობებისთვის და უზრუნველყოფს მარტივ ნავიგაციას და ინფორმაციის ხელმისაწვდომობას.გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი განსაზღვრულია დირექტორის ბრძანებით, რომელიც უზრუნველყოფს გვერდის გამართულ მუშაობასა და ინფორმაციის დროულ განახლება.

ინდიკატორის (3.6.3.4) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

   სკოლის ვებ-გვერდი სრულად შეიცავს მოთხოვნილ ინფორმაციას. კერძოდ, ვებ-გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების, სტრუქტურის შესახებ. დეტალურად არის აღწერილი სკოლაში არსებული საგანმანათლებლო პროგრამები, მათი მიზნები და შედეგები. ვებ-გვერდზე მოცემულია ინფორმაცია სკოლაში ჩარიცხვის პროცედურების, საჭირო დოკუმენტაციისა და ვადების შესახებ. ასევე, აღწერილია სასწავლო პროცესთან დაკავშირებული მოთხოვნები, შეფასების სისტემა და სასწავლო კალენდარი. ვებ-გვერდზე ხელმისაწვდომია ინფორმაცია გასაჩივრების მექანიზმების, სკოლის ფინანსური მდგრადობის, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების შესახებ. ასევე, მითითებულია საკონტაქტო ინფორმაცია, მათ შორის მისამართი, ტელეფონის ნომრები და ელექტრონული ფოსტის მისამართები სხვადასხვა განყოფილებისთვის.

ინდიკატორის (3.6.3.5) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საჯარო სკოლის ბრძანება ვებგვერდზე პასუხისმგებელი პირის შესახებ
- საჯარო სკოლის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამოქმედო გეგმა

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლის შემოსავლების ძირითად წყაროს წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსება (ვაუჩერული დაფინანსება), სკოლის მიერ წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N 5 (09.12.2025 წ.), რომელიც ეხება სკოლის ბიუჯეტის დამტკიცებას. 2026 წლის ბიუჯეტი მოიცავს მიმდინარე საოპერაციო და საგანმანათლებლო საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელებასთან დაკავშირებულ ხარჯებს.
სკოლის ბიუჯეტი დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ, ხოლო ფინანსური მართვა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ბიუჯეტის შესახებ მოქმედი ნორმატიული აქტების სრული შესაბამისობით. ფინანსური რესურსები მიზნობრივად ნაწილდება სკოლის სამოქმედო გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად, რაც განაპირობებს დაგეგმილი სასწავლო, საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ეფექტიან და ხარისხიან განხორციელებას.

ინდიკატორის (3.7.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

სკოლას აქვს კარგად ჩამოყალიბებული ფინანსური რესურსების მართვის სისტემა, რომელიც მოიცავს დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგისა და ანგარიშგების პროცესებს. ფინანსური დაგეგმვა ხორციელდება სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების საფუძველზე. სკოლა შეიმუშავებს მომავალი წლის ბიუჯეტს სკოლის საჭიროებებზე დაფუძნებულს მონაწილეობითი პრინციპით, სადაც ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგები და სამეურვეო საბჭო. ფინანსური რესურსების განკარგვა ხორციელდება კანონმდებლობისა და სკოლის შიდა რეგულაციების შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. ყოველწლიურად მზადდება ფინანსური ანგარიშები, რომლებიც განიხილება სამეურვეო საბჭოს მიერ და ხელმისაწვდომია დაინტერესებული მხარეებისთვის. ყოველი წლის ნოემბრის თვეში დგება სახელმწიფო შესყიდვების გეგმა. შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე. რომლის მიხედვითაც ბუღალტერი გეგმას ტვირთავს სახელმწიფო შესყიდვების Eplan-ში. წლის განმავლობაში მომხდარი ცვლილებების შემთხვევაში შესყიდვების გეგმაში შედის შესწორება დირექტორის ბრძანებით, რომელსაც ახორციელებს ბუღალტერი შესყიდვების სისტემა.

ინდიკატორის (3.7.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ბიუჯეტი;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები;
- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგების დოკუმენტი.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვა და გარანტიების უზრუნველყოფა სკოლაში რეგულირდება შინაგანაწესით, წესდებით, სკოლის მირ შემუშავებული მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებებით, სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესით, (ბრძანება N 8, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - 10.12.2025 წ.) მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობისა და სტატუსის შეჩერების წესით (დირექტორის ბრძანება N 29, 02.09.2020 წ.) სასკოლო სასწავლო გეგმით, პერსონალურ მონაცმთა დაცვისა და მონიტორინგის წესით, რეფერირების პროცედურით შინაგანაწესი უზრუნველყოფს მოსწავლის კანონით დაცული უფლებების გარანტიებს. დოკუმენტი არეგულირებს მოსწავლეთა უფლებების დარღვევის შემთხვევაში გასატარებელ ღონისძიებებს, განსაზღვრავს და არეგულირებს სასწავლო პროცესის ეფექტურობისა და მართვის მექანიზმებს, სასწავლო პროცესის მონაწილეთა უფლებამოსილებებსა და ვალდებულებებს; სკოლასა და მოსწავლეთა მშობლებს (ან მათ კანონიერ წარმომადგენლებს) შორის ურთიერთობათა პირობებს, მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ძირითად უფლებებსა და თავისუფლებებს, მათი შეზღუდვის საფუძვლებს; მოსწავლის, მშობლის, მასწავლებლის და ტექნიკური პერსონალის სკოლის მართვაში მონაწილეობის უფლებებს, ადმინისტრაციის, პედაგოგებისა და ტექნიკური პერსონალის შრომის დაცვასა და ანაზღაურების წესს; სამუშაო დროის

ხანგრძლივობას, შესვენებისა და დასვენების დროს, დისციპლინური გადაცდომების ამომწურავ ჩამონათვალს, ეთიკის ნორმებს, თანამშრომელთა და მასწავლებელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესებს, წახალისებისა და სანქციების გამოყენების პრინციპებს. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან დასტურდება, რომ სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა.

ინდიკატორის (4.1.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებს მშობლის მიერ სკოლის შინაგანაწესის გაცნობის დადასტურების ფაქტს, ასევე კლასის დამრიგებლი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებსა და მათ მშობლებსა და /კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს შინაგანაწესისა და სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამის ნაწლებს, მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტს. ზემოთაღწერილი დოკუმენტები გაზიარებულია სკოლის ვებგვერდზე რაც ადასტურებს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციების გამჭვირვალობასა და გაზიარებას. სკოლის შინაგანაწეში გათვალისწინებულია უფლებების დაცვის მექანიზმები. აღნიშნული დოკუმენტის პროექტი ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. პედაგოგებისათვის სკოლის შინაგანაწესის გაცნობა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე. მოსწავლის კანონით გარანტირებული უფლებების დაცვის ამსახველი დოკუმენტი - შინაგანაწესი გამოკრულია სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორის (4.1.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება

მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. გაწერილია მოსწავლის მშობლის/კანონიერ წარმომადგენლის უფლებები და მოვალეობები, პერსონალური მონაცემების დამუშავების წესი და პროცედურა. გაფორმებული ხელშეკრულებებში განსაზღვრულია სკოლის საქმიანობა,

მხარეთა უფლება-მოვალეობები, ხელშეკრულების საგანი, სასწავლო დრო, დასვენების დრო, უქმე დღეები, ხელშეკრულების შეწყვეტის წესი, ხელშეკრულების მოქმედების ვადა და დავის გადაწყვეტა, მხარეთა ხელმოწერები. ხელშეკრულებაში გაწერილი პუნქტები მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული. სკოლაში ვიზიტის განხორციელების ეტაპისათვის ირიცხება 44 მოსწავლე. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულებებს, რომელიც კანონის ფარგლებშია და არეგულირებს მხარეების უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულება გაფორმებულია ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან.

ინდიკატორის (4.1.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის შინაგანაწესი
- სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის მშობელთა სათათბიროს დებულება
- სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები
- სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის ბრძანება მშობლებთან ურთიერთობის დებულება
- სსიპ სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის მიერ მშობლებთან დადებული ხელშეკრულება

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია საფეხურის დაძლევის გამჭირვალე მექანიზმი. სკოლა პრაქტიკით ადასტურებს, რომ მოსწავლეებისათვის, მათი კანონიერი წარმომადგენლებისათვის საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაციის მიწოდება ხდება სწავლის დაწყებისას პირველ კრებაზე. სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით შემუშავებული აქვს (ბრძანება N 29, 02.09.20205 წ.) მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

ინდიკატორის (4.1.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით დასტურდება საფეხურის დაძლევის მექანიზმები. წარმოდგენილ დოკუმენტში განსაზღვრულია მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა შესაძლებელია მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე, კლასებში არსებული ვაკანტური ადგილების გათვალისწინებით. მოსწავლის ჩარიცხვა და სტატუსის შეჩერება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის N04/ნ ბრძანების „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვის და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის დამტკიცების შესახებ" საფუძველზე. სკოლის პრაქტიკით დასტურდება, რომ მოსწავლის მიერ საფეხურის დაძლევის საკითხი განიხილება პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი ოქმითა და დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით.

ინდიკატორის (4.1.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სოფელ ხორშის საჯარო სკოლა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების სერვისის მიწოდებას უზრუნველყოფს დაწყებით-საბაზო საფეხურებზე. აღნიშნული სერვისის შესახებ ძირითადი ინფორმაცია განთავსებულია სასკოლო-სასწავლო გეგმაში, რომლის დანერგვაც წარმოებს საგნობრივი კურიკულუმების მეშვეობით. აღნიშნული საკითხების შესახებ საზოგადოებას/მოსწავლეთა მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ სკოლის დირექციისაგან და მასწავლებლებისაგან. საამისოდ გამოყენებული აქვთ დასწრებითი შეხვედრების ფორმატი (მშობელთა კრება. სკოლას მის მიერ განხორციელებული ზოგადსაგანმანათლებლო სერვისის შესახებ საჯარო ინფორმაცია განთავსებული აქვს ვებ-გვერდზე. მოცემული ეტაპისთვის სკოლას მოსწავლეებისათვის შეთავაზებული არ აქვს ფასიანი სერვისი. სკოლა ინფორმაციის მიწოდებას უზრუნველყოფს დამრიგებელი სასკოლო კრებებზე.

ინდიკატორის (4.1.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სკოლის დირექტორთან ინტერვიუთი დგინდება, რომ განახლებულ ინფორმაციას სისტემატურად აწვდის მშობლებს დამრიგებლების მეშვეობით. სხვადასხვა პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია ვრცელდება სხვადასხვა პლატფორმის, პირისპირ შეხვედრის საშუალებით. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს დროს დააზუსტეს, რომ აქტიურად იყენებენ საინფორმაციო დაფას. პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ ინფორმაცია განთავსებულია ოფიციალურ გვერდზე. სკოლის პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ კანონმდებლობასთან წინააღმდეგობაში არ მოდის.

ინდიკატორის (4.1.2.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- Eschool-ის ბაზა
- მოსწავლეთა პირადი საქმეები.
- სასკოლო სასწავლო გეგმა.
- სკოლის შინაგანაწესი.

- საფეხურის დაძლევის ბრძანება
- მოსწავლის ჩარიცხვის ბრძანება;
- მოსწავლის ამორიცხვის ბრძანება;

შეფასება:

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული დოკუმენტი - ,,მოსწავლის ადაპტაციის წესი''. (ბრძანება N 8, მოსწავლეთა ადაპტაციის წესი - 10.12.2025.) ადმინისტრაცია პირველკლასელი მოსწავლეების და ასევე, მობილობით გადმოსული მოსწავლეებისთვის, მათთვის ხელმისაწვდომი ფორმით, აწვდის დეტალური ინფორმაციას სასწავლო პროცესის ორგანიზების მიმართულებით არსებული და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს დასაცავი რეგულაციების შესახებ. სასწავლო პროცესის სხვადასხვა აქტივობა დეტალურად არის გაწერილი სადამრიგებლო პროგრამაში. მოსწავლეების ადაპტაციის პროცესში ,რაც ეხმარებასკოლას უზრუნველყოს გარემო, რომელიც ხელს შეუწყობს ბავშვის სწრაფ და კომფორტულ ადაპტაციას სკოლაში.

ინდიკატორის (4.2.1.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში („მოსწავლის ადაპტაციის წესი“) გათვალისწინებულია მოსწავლის სოციალიზაციისა და ადაპტაციის ფაქტორები. კერძოდ, განსაზღვრულია მოსწავლის მობილობის, პირველ კლასში შესვლისას სკოლაში ტრანზიციისა და ჩართულობის მხარდაჭერა. ადმინისტრაციასთან გასაუბრებით იკვეთება, რომ სკოლა მაქსიმალურად ცდილობს კომფორტული შექმნას, რაც ადაპტაციის წინა პირობაა. ყველა საკლასო ოთახში თუ კლას-კაბინეტში განთავსებულია ასაკის შესაბამისი სასკოლო ინვენტარი, საკლასო სივრცეები ისეა მოწყობილი, რომ მოსწავლეს სრული წინა პირობა აქვს, ემოციურად მყუდრო გარემოში დაეუფლოს სხვადასხვა დისციპლინებს.

ინდიკატორის (4.2.1.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებისთვის სკოლა იყენებს განმავითარებელ და განსაზღვრელ შეფასებას, რომელიც ითვალისწინებს სასკოლო პროცესში გამოვლენილ ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებლები მუშაობენ როგორც ინდივიდუალურად მოსწავლეებთან, ასევე ჯგუფებთან, რათა მაქსიმალურად აჩვენონ მათი ცოდნა და უნარები. განმავითარებელი შეფასების საფუძველზე მოსწავლეები ავითარებენ აკადემიურ მიღწევებს და პროგრესირებენ საგაკვეთილო პროცესში.სკოლაში ყოველწლიურად ტარდება კონკურსები, როგორიცაა „ტვინების ბრძოლა“ და საგნობრივი ვიქტორინები, ხოლო მოსწავლეები აქტიურად მონაწილეობენ სამინისტროს, რესურსცენტრისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ ინიცირებულ საგანმანათლებლო პროექტებსა და ღონისძიებებში. გამარჯვებული გუნდი გადადის შემდგომ ეტაპზე რეგიონალურ შეჯიბრებში. მაგალითად, 2026 წელს, სკოლის მოსწავლეების ნამუშევარმა, ჟიურის სპეციალური პრემია დაიმსახურა მართლმადიდებლური სკოლა-გიმნაზიის მიერ გამოცხადებულ კონკურსში. საგაკვეთილო ნაწილში განმავითარებელი შეფასება სრულდება შეფასების რუბრიკის მიხედვით, უმეტესად კი მოსწავლე იღებს ზეპირ შეფასებას. თითოეული პედაგოგი ხელმძღვანელობს საგნის კურიკულუმით, რომელიც მოიცავს კომპლექსურ დავალებებს, მორგებულ მოსწავლეების ინტერესებსა და საჭიროებებზე, რაც უზრუნველყოფს ცოდნის სრულყოფილ დამკვიდრებას და უნარების განვითარებას.

ინდიკატორის (4.2.1.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით; სკოლა ღიაა მოსწავლეების საჭიროებების დასადგენად და შესაბამისი აქტივობების განხორციელებისთვის. სკოლა საჭიროების შემთხვევაში გამოყოფს სივრცეებს - კომპიუტერულ ლაბორატორიას, ბიბლიოთეკას, ფოიეს, ეზოს მოედანს, სპორტულ და სააქტო დარბაზებს. სკოლა უწევს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში მოსწავლეს ადმინისტრაციული მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები მოსწავლეთა მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან სასწავლო წლის დასაწყისში , ასევე მოსწავლეებთან სადამრიგებლო საათის ფარგლებში, აცნობენ მათ უფლებებს და მოვალეობებსა და განხორციელების მექანიზმებს.
ინდიკატორის (4.2.1.4.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას

სკოლის მიერ წახალისებულია მოსწავლეთა მხრიდან ინიციატივები. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა ,,მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი“ (ბრძანება N 76.), რომლის საფუძველზე სკოლა ითვალისწინებს და ანხორციელებს მოსწავლეთა მხარდამჭერ აქტივობებსა და ღონისძიებებს. წარმოდგენილი მასალებით დასტურდება, რომ სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას. კერძოდ, პერსონალის აქტიური მონაწილეობით იგეგმება სკოლის მოსწავლეთა არაფორმალური აქტივობები, როგორიცაა ექსკურსიები, თეატრებში გასვლით ღონისძებები, სასკოლო პროექტები. ყველა აღნიშნული ღონისძება ეწყობა კანონით დადგენილლი პროცედურების დაცვით. მაგ; სკოლა ექსკურსიის მოწყობის დროს იცავს მოქმედ რეგულაციას. სკოლის პრაქტიკით დასტურდება მოსწავლეთა ინტერესების, სურვილებისა და პრობლემების იდენტიფიცირებისათვის განხორციელებული აქტივობები - დაკვირვება, გამოკითხვა. სკოლამ ვიზიტის დროს წარმოადგინა მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება, რომლითაც დასტურდება, რომ მოსწავლეთა თვითმმართველობა მოსწავლეთა ინტერესების შესაბამისად შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას და აქვს შესაძლებლობა, შექმნას სასკოლო კლუბები, გამოთქვას შესაბამისი ინიციატიცა.

ინდიკატორის (4.2.1.5.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა მხარს უჭერს საგანმანათლებლო ინიციატივებს, რომლებიც განახორციელებს მოსწავლეთა აქტივობებისა და მხარდაჭერის მეშვეობით და აძლევს შესაძლებლობას არაფორმალური განათლების მიღებაზე. სკოლა ორგანიზებას უწევს მოსწავლეთა გაერთიანებას საერთო ინტერესების გარშემო და აქტიურად ასრულებს სხვადასხვა ღონისძიებებს, რომლებიც ხელს უწყობენ სოციალური უნარების განვითარებას და პასუხისმგებლობის შეგრძნებას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სხვადასხვა აქტივობებისა და პროექტების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები; „არა ძალადობას!“, „არა ნარკომანიას!“, „არა ნაადრევ ქორწინებას!“, შემოდგომის ზეიმი, საახალწლო ზეიმი, სკოლის ეზოს გამწვანება- აქცია „დედამიწა – ჩვენი სახლი, „ვაქცინაცია – ჯანმრთელობის პრევენცია,“, ბუკლეტების დარიგება, ნარჩენების მართვა და მეორადი სიცოცხლის მინიჭება.სკოლის სოციალურ ქსელში სრულად არის გამოქვეყნებული ფოტოები ჩატარებული აქტივობების შესახებ. მოსწავლეთა აქტიური ჩართულობის უზრუნველსაყოფად სკოლა იყენებს ადამიანურ რესურსს – პროფესიონალი პედაგოგები ხელმძღვანელობენ არაფორმალური სასწავლო აქტივობებით, რაც ხელს უწყობს მოსწავლეების ინტერესების, შემოქმედებითი უნარების და სოციალურ პასუხისმგებლობას აქტიურად განვითარებას.

ინდიკატორის (4.2.1.6.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ხორშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი
- ხორშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა ინიციატივების მხარდამჭერი მექანიზმები
- ხორშის საჯარო სკოლაში განხორციელებული პროექტები
- ხორშის საჯარო სკოლაში მეორე უცხო ენის არჩევის ოქმი
- ხორშის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- ხორშის საჯარო სკოლის შინაგანაწესი

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სკოლის დირექტორმა ჩატარებული ინტერვიუს დროს განმარტა, რომ დაწესებულება განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოსწავლეთა პროფესიულ ორიენტაციას. ამ მიზნით, დირექცია და კლასის დამრიგებლები კლასის საათებზე მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციას სხვადასხვა პროფესიების შესახებ და ატარებენ შესაბამის აქტივობებს სკოლაში. სკოლამ წარმოადგინა სხვადასხვა ვიზიტების ამსახველი მასალები - შოთა მესხიას სახელობის სწავლებლებლის სენაკის ფილიალში. აღნიშნულ დაწესებულებასთან გაფორმებულია მემორანდუმი.
ინდიკატორის (4.2.2.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლის საბაზო საფეხურის დამრიგებლები მოსწავლეებსა და მშობლებს აწვდიან საინფორმაციო მასალებს, რომლებიც მოიცავს პროფესიების მრავალფეროვან ჩამონათვალს სხვადასხვა სასწავლებლიდან. პედაგოგები აქტიურად ესაუბრებიან მშობლებს თითოეული მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, რათა მათ დაეხმარონ სწორი არჩევანის გაკეთებაში. მეცხრე კლასის მოსწავლეები ეცნობიან შესაძლებლობას, გააგრძელონ სწავლა კოლეჯებში, სადაც სწავლობენ შესაბამის საფეხურის საგნებს და იღებენ როგორც კოლეჯის დიპლომს, ისე საფეხურის დამადასტურებელ მოწმობას, რაც მათ აძლევს მეტ თავისუფლებასა და შესაძლებლობას განათლების უმაღლეს საფეხურზე გაგრძელებისთვის.

ინდიკატორის (4.2.2.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ადმინისტრაციასტან ინტერვიუებით დადგინდა, რომ სკოლას აქვს მზაობა, სკოლის მომსახურებბის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით გაითვალისწინოს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები. სკოლას მიეცა რჩევა, აწარმოოს საჭიროებისა და პრაქტიკის კვლევები, რათა კვლევებზე წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე გაუმჯობესოს გაწეული მომსახურება.
ინდიკატორის (4.2.2.3.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის პროექტი;
- დამრიგებლის საათის თემატიკა;
- სამოქალაქო განათლების კლუბის მიერ განხორციელებული პროექტები;
- პირველადი დახმარების აღმოჩენისა და სასკოლო ჰიგიენის დაცვის წესის შესახებ;
- ფიზიკური უსაფრთხოების დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- პერსონალური მონაცემების დაცვის პოლიტიკის შესახებ დამტკიცების დოკუმენტი;
- მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერის წესი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

დაწესებულებას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ღონისძებები. კერძოდ, განმარტებულია ვინ შეიძლება იყოს სსსმ მოსწავლე. სკოლას ვიზიტის პროცესში არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე, სკოლის დირექტორმა განმარტა, რომ სწორედ აღნიშნულის გამო არ შეუმუშავებიათ ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა.

შესაბამისად მნიშვნველოვანია, რომ სკოლამ შექმნას და ბრძანებით დაამტკიცოს ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ისგ. ჯგუფის შექმნასა და ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის პრინციპებს, რომელიც ითვალისწინებს სსსმ მოსწავლის ჩართვას ზოგადსაგანმანათლებლო პროცესში სხვა მოსწავლეებთან ერთად.

ვიზიტის შემდგომ სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა აღნიშნული ინდიკატორის დამადასტურებელი მტკიცებულება.

ინდიკატორის (4.2.3.1.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

ვიზიტის დროს სკოლას არ ჰყავდა სსსმ მოსწავლე. აღნიშნული ინდიკატორის დასადასტურებლად სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც ითვალისწინებ სსსსმ მოსწავლეების ინდივიდუალურ საჭიროებებზე ორიენტირებულ მომსახურებას, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსების ხელმისაწვდომობას, სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და თანამშრომლობის პრინციპებს, ისგ ჯგუფის ფორმირების პირობებსა და საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის (4.2.3.2.) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მხოლოდ ტრანსპორტით უზრუნველყოფას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა შესაბამისი ტაბელები.

ინდიკატორის (4.2.4.1) მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

   სკოლას არ აქვს ამ ეტაპზე დამატებითი სავალდებულო საგანმანათლებლო მომსახურება, დირექტორის განმარტებით, მომავალში, ასეთის არსებობის დშემთხვევაში, მიმართული იქნება მოსწავლის განვითარების უზრუნველსაყოფად.

ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სკოლის მიერ ამ ეტაპზე არ ხორციელდება ისეთი არასავალდებულო დამატებითი მომსახურება, რომელსაც სჭირდება კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვება.

ინდიკატორის შეფასება მოცემული ეტაპისთვის ვერ ხერხდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- მშობელთან ხელშეკრულების ნიმუშები
- მშობელთან ურთიერთობის დებულება
- სკოლის შინაგანაწესი
- სასკოლო სასწავლი გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	**☒ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია. სასკოლო კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და შესაძლებლობებს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა კურიკულუმის შემუშავების პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია სკოლამ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში უფრო მეტად დააკონკრეტოს კურიკულუმის შემუშავებისას როგორ და რა ფორმით არიან ჩართული შესაბამისი მხარეები. მაგალითად, მეტად დაკონკრეტდეს ის ნაბიჯები, რასაც კათედრები ახორციელებენ კურიკულუმის შემუშავების პროცესში და ა.შ.

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები**

წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ასახული თემები და აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს, თავისებურებებსა და შესაძლებლობებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ ერთმანეთის გამოცდილებას, სკოლისა და მოსწავლეების საჭიროებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასებიდან, კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიიდან და მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან ჩანს, რომ კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება, კათედრები მუშაობენ ერთობლივად და ითვალისწინებენ წინა წლის გამოცდილებებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სასკოლო კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. დამრიგებლები და საგნის მასწავლელები აცნობენ მოსწავლეებსა და მშობლებს საგნობრივ კურიკულუმებს, დასამუშავებელ თემებს, დაგეგმილ აქტივობებსა და შეფასების კრიტერიუმებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია - ბრძ. N38 10.11.2024
- სასკოლო სასწავლო გეგმა

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლის მიერ მოწოდებულ მასალებში ჩანს, რომ ორივე საფეხურზე მასწავლებლების მიერ შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. მასწავლებლებს კურიკულუმის შემუშავების პროცესში შერჩეული აქვთ კურიკულუმის ჩარჩოს ფორმა, სადაც ნათლად ჩანს თემა, სამიზნე ცნება/ქვეცნებები, საკითხი/ქვესაკითხები და მათ მიერ გათვალისწინებული შემოქმედებითი დავალებები, სულ მცირე იდეის დონეზე მაინც , რითაც გეგმავენ შუალედური მიზნის მიღწევას და მის განსახორციელებლად საჭირო რესურსები. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ყველა სტრუქტურული ერთეული სწორადაა განსაზღვრული.

	ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის პიროვნული განვითარების გზას, სადაც სასწავლო თემები და შემოქმედებითი ბუნების დავალებები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და საფეხურებრივი საჭიროებების გათვალისწინებით. კურიკულუმის მოსწავლეზე ორიენტირებულობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ მასში გათვალისწინებულია მოსწავლეების შესაძლებლობები. დოკუმენტები ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. **რჩევები:** • სწავლის უწყვეტობის პრინციპის დასაცავად, მიზანშეწონილია, რომ X კლასის მოქალაქეობის პროექტულ სწავლებაში აისახოს პროექტის გეგმა, შეფასების რუბრიკა და მოხდეს განხორციელებული პროექტების დოკუმენტირება. • სასურველია, შეფასების რუბრიკები შეიქმნას დაწყებითი საფეხურისთვისაც.
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კურიკულუმები დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. წარმოდგენილი თემები შეადგენს საფეხურის შესაბამის თემატური ბლოკით განსაზღვრულ შინაარსებს. თემატური ერთეულების ფარგლებში გამოკვეთილი სამიზნე ცნებები, ძირითადი ტექსტები, კონტექსტ-მაგალითები და დაგეგმილი დავალებები იძლევა მოსწავლის ინტერესებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებისა და თვითრეალიზების საშუალებას, რითაც მიიღწევა ეფექტური სწავლა და მოსწავლეთა მაქსიმალური ჩართულობა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სსიპ - სენაკის მუნიციპალიტეტის სოფელ ხორშის საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრაზე, კურიკულუმი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. მოსწავლეები შეისწავლიან სახელმძღვანელოში მოცემულ თემებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს პროექტულად, გუნდურად და შემოქმედებითად. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ

	კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. თუმცა, რჩევის სახით ხაზგასასმელია რამდენიმე საკითხი: **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. . **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. კურიკულუმი უნდა წარმოადგენდეს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების პრაქტიკულ და ცოცხალ ინსტრუმენტს. **რჩევა:** პროექტული სწავლების კურიკულუმებში სასწავლო წლის დასაწყისშივე აირჩეს შესასწავლი თემები მოსწავლეთა მიერ და მიზნობრივად გაიწეროს კურიკულუმებში. 2.1.2.1 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმები იმგვარადაა აგებული, რომ აქცენტი კეთდება საგნისათვის საჭირო კომპონენტებზე. ჩანს რა შემოქმედებითი პროდუქტი უნდა გამოიყენოს სწავლა-სწავლების პროცესში. კურიკულუმი დაგეგმილია მოსწავლეთა შესაძლებლობების შესაბამისად და მიემართება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტს, წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **ინდიკატორი 2.1.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა**-სასურველია წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში **(დაწყებით და საბაზო საფეხურზე)** შენარჩეუნდეს ერთიანი ჩარჩო, რათა იყოს მეტად ორგანიზებული და სისტემური სახის.
მათემატიკა	სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი ყველა კლასის კურიკულუმის განხილვისა და ინტერვიუს შედეგიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ შემუშავებული

	კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; ყველა კლასის კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სავალდებულო თემები, გრძელვადიანი მიზნები (ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად). შუალედური მიზნების სახით წარმოდგენილია დავალებები (დავალების იდეა), რომელთა შერჩევა განხორციელებულია კათედრაზე მოსწავლეთა ინტერესების და საჭიროებების გათვალისწინებით. შერჩეული დავალებები იძლევა სასწავლო პროცესში მოსწავლის აქტიურად ჩართვის, ფუნქციური უნარების განვითარების საშუალებას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნეს მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. შინაარსი მიჰყვება ეროვნული გეგმის სტრუქტურას და მოიცავს თანამედროვე თემებს: ციფრული წიგნიერება, ინტერნეტ უსაფრთხოება, Scratch პროგრამირება, PowerPoint პრეზენტაცია და სხვა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ განვითარებასა და ფუნქციური უნარების ჩამოყალიბებაზე. დოკუმენტაცია ადასტურებს, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვა ეფუძნება მოსწავლის წინარე გამოცდილებას და მიმართულია ცოდნის კონსტრუირებაზე. კათედრას აქვს კურიკულუმზე მუშაობისა და მისი პრაქტიკაში რეალიზების სათანადო გამოცდილება, რაც უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის თანმიმდევრულ განვითარებას.

	რჩევა: სასურველია, კათედრამ შეიმუშაოს და დანერგოს კურიკულუმების ერთიანი სტრუქტურული ჩარჩო (სვეტების რაოდენობისა და კომპონენტების მიხედვით) ყველა საგნისთვის, რაც უზრუნველყოფს დაგეგმვის პროცესის სისტემურობას. ასევე, რეკომენდებულია სასწავლო რესურსების კიდევ უფრო გამრავალფეროვნება მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს უკეთ მხარდასაჭერად.

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შემუშავებული საგნობრივი კურიკულუმები ორიენტირებულია მოსწავლეებში ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე. ამ უნარების ჩამოყალიბება ხდება როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე მოსწავლეების პროექტებზე მუშაობის დროსაც. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლის მიერ წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმი სტრუქტურულად და შინაარსობრივად მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. სასკოლო კურიკულუმებში მოცემულია სამიზნე ცნებები. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია კონსტრუქტივისტულ პრინციპებზე; წარმოდგენილი შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის ფუნქციური უნარების განვითარებაზე. **რჩევები:** **მე და საზოგადოება (III-IV კლასები)**

	• **III-IV კლასები:** სასწავლო პროგრამაში მოცემული სამიზნე ცნებები მკაფიოდ გადაანაწილდეს შესაბამისი საკითხების კლასტერებზე. **გეოგრაფია (VII-XII კლასები)** • **ყველა კლასი:** გეოგრაფიის კურიკულუმში სამიზნე ცნებები სრულად და ზუსტად გადანაწილდეს საკითხთა კლასტერებზე; განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკა დაკონკრეტდეს და შეფასების კრიტერიუმები მოერგოს თითოეულ კონკრეტულ სასწავლო თემას. • **VII კლასი:** დანართ 1-ში მოცემულ მატრიცას დაემატოს შემოქმედებითი/კომპლექსური დავალების პირობა, რომელიც ამჟამად გამოტოვებულია. • **IX კლასი:** დასავლეთ საქართველოს თემაში გასწორდეს შეუსაბამობა დავალების პროდუქტს შორის — კურიკულუმსა და თანდართულ მატრიცაში ერთიანად დაფიქსირდეს ერთი კონკრეტული ფორმა (კვლევა ან პრეზენტაცია). **ისტორია (VII-XII კლასები)** • **საქართველოს ისტორია (X კლასი):** კურიკულუმში მითითებული ზოგადი ქვეცნებები ჩანაცვლდეს კონკრეტული, თემასთან ადაპტირებული ქვეცნებებით; გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, რესურსების სვეტში მიეთითოს მრავალფეროვანი დამატებითი სასწავლო რესურსები.
უცხოური ენები	პირველი და მეორე უცხოური ენების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებით დგინდება, რომ განსაზღვრულია როგორც გრძელვადიანი, ასევე შუალედური მიზნები და შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ინდიკატორებთან. საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** **რჩევა:** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში სასურველია კათედრამ იხელმძღვანელოს რევიზირებული საგნობრივი სტანდარტით, რათა განახლებული გრძლევადიანი

	სამიზნე ცნებები კოორდინირებულად იქნეს აღქმული
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. კათედრის საგნობრივი გეგმა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებსა და კონტექსტებს. მასწავლებლები, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესს აკლია რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობებით გამდიდრება. **სასურველია,** ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს მათ. სკოლის შიდა დოკუმენტაცია, თემატური გეგმით დაწყებული, შეფასების სისტემით დამთავრებული, სტრუქტურულად მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კომპეტენციური განვითარების ხელშეწყობას. **რჩევა:** ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს პედაგოგებს. 2.1.2.2 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე, სამიზნე ცნებების დამუშავება შეძლებისდაგვარად ხერხდება სავალდებულო თემის ფარგლებში. შერჩეული ძირითადი და დამხმარე ტექსტები, კონტექსტმაგალითები, შემოქმედებითი ბუნების დავალებები ხელს უწყობს ცოდნის მრავალმხრივად გააზრებას. ამასთანავე, დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილია როგორც ცალკე კლასების, ასევე კლასკომპლექტის კურიკულუმები და გაკვეთილის გეგმები I-III და II-IV კლასებში. ორივე საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად თავსებადია ესგ-ეს მიზნებსა და პროირიტეტებთან, თუმცა იკვეთება მცირე უზუსტობებიც, რაც გასაუბრების დროს დაკონკრეტდა და გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ-ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, აგრეთვე, აქვთ მზაობა, რომ ყველა სამიზნე ცნება,

	მასთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას და საბოლოოდ დახვეწონ საგნობრივი კურიკულუმები. ამასთანავე, **ინდიკატორი 2.1.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა- დაწყებით და საბაზო საფეხურზე** საგნობრივი კურიკულუმების შედგენისას სასურველია, გათვალისწინებული იყოს ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნები, საგნობრივი სტანდარტი, რომელთა მიხედვითაც დასახვეწია კურიკულუმები. მათში სათანადოდ აისახოს და გაიწეროს თემები, რომელთა შესაბამისად დამუშავდება სამიზნე ცნებები და ქვეცნებები. დასახვეწია კურიკულუმის ჩარჩოები, კერძოდ, დამატებულია ცალკე სვეტი -მაგალითები შედარებისათვის, რაც სასურველია გაწერილი იყოს კონტექსტმაგალითებში, მათი დაზუსტების მიზნით. განსაკუთრებით **დასახვეწია საბაზო საფეხურზე** VII კლასის კურიკულუმის ჩარჩო. გვხვდება უზუსტობები თემებს, დავალების იდეებსა და აქტივობათა ურთიერთმიმართებებს შორის, რაც ბუნდოვანს ხდის შემოქმედებითი ტიპის დავალებათა არსს. სასურველია, სიღრმისეულად გაეცნოთ **დაწყებითი და საბაზო საფეხურის** ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ სტანდარტს და კურიკულუმის შედგენისას გამოიყენოთ მართებულად.
მათემატიკა	სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე, ყველა კლასის კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რომლებიც კურიკულუმის ცხრილში მოცემულია სამიზნე ცნებებისა და ქვეცნებების სახით. მიზნის მიღწევის საშუალებად წარმოდგენილია შემოქმედებითი ან შემოქმედებითი ტიპის დავალებები, რომელზეც მუშაობის პროცესში მოსწავლეს უწევს სასწავლო პროცესში აქტიურად ჩართვა, უვითარდება კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება (პრობლემის გადაჭრისა და პროდუქტის შექმნის პროცესში). დოკუმენტების განხილვისა და ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო

	გეგმით განსაზღვრულ შედეგებს, გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლის მხრიდან წარმოდგენილი კურიკულუმები სამიზნე ცნებებზე დაყრდნობით განსაზღვრავს მიზნობრივ ორიენტირებს. გათვალისწინებული საგნობრივი პროგრამა იძლევა სამიზნე ცნებებამდე მისვლის საშუალებას. ხოლო თემები, აქტივობები, საკითხები, დავალებები და სხვა დამატებითი რესურსები მოსწავლის სასწავლო პროცესში ჩართულობას უწყობს ხელს, ორიენტირებულია მის პიროვნულ განვითარებაზე და ფუნქციური უნარების დახვეწას უწყობს ხელს. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმის შინაარსი მიჰყვება ეროვნული სასწავლო გეგმის სტრუქტურას — გათვალისწინებულია ციფრული წიგნიერება, მოქალაქეობა, პროგრამირება, მულტიმედია, ინტერნეტ–უსაფრთხოება და სხვა თემები. გამოყენებულია აქტუალური ციფრული პლატფორმები (Scratch, PowerPoint, School.emis.ge)
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმები ზოგადად თავსებადია ეროვნული სასწავლო გეგმის (ესგ) მიზნებსა და პრიორიტეტებთან. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მიმართულებით I კლასების კურიკულუმში სამიზნე ცნებები და სავალდებულო თემები ვალიდურად არის განსაზღვრული. თუმცა, II - IV კლასების დოკუმენტაციაში ფიქსირდება შეუსაბამობა სამიზნე ცნებებისა და სავალდებულო თემების დასახელებებსა და შინაარსში. ასევე დასაზუსტებელია სავალდებულო თემები მე და საზოგადოებაში. **რჩევა:** გრძელვადიანი მიზნები (სამიზნე ცნებები და შედეგები) და სავალდებულო თემები მოვიდეს შესაბამისობაში მოქმედი საგნობრივი სტანდარტის მოთხოვნებთან.

3. **კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია რესურსები , როგორც მატერიალური ისე ელექტრონული (ვირტუალური ლაბორატორია; ტელესკოლის გაკვეთილები, PPT პრეზენტაციები, www.youtube.com-ს ვიდეორგოლები....) , რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმში მოცემულია ძირითადი და დამხმარე რესურსები (სახელმძღვანელოები, ინტერნეტ-რესურსები, ვიდეომასალა), რაც კავშირშია სამიზნე ცნებებთან და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. მასწავლებლები კათედრებზე არჩევენ სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო მასალას, რომლებიც შემოქმედებითი ბუნების დავალებების შესრულებისას ეხმარება მოსწავლეს ცოდნის კონსტრუირებაში. რესურსების შერჩევისას მთავარი აქცენტი კეთდება მათ შესაბამისობაზე მოსწავლეთა ინტერესებთან და ინდივიდუალურ შესაძლებლობებთან. **რჩევა:** სასურველია, რომ ყველა კლასის კურიკულუმში დაემატოს იმ რესურსებისჩამო ნათვალი, რომლებსაც მასწავლებლები რეალურად იყენებენ სასწავლო პროცესში და რომლებზეც გასაუბრების დროსაც ისაუბრეს.
უცხოური ენები	კურიკულუმში წარმოდგენილი ძირითადი სასწავლო რესურსი გრიფირებული სახელმძღვანელოებია. ამასთანავე კათედრას წამოდგენილი აქვს დამატებითი საგანმანათლებლო მასალები, რაც არსებით როლს ასრულებს სასწავლო მიზნების მიღწევაში. გათვალისწინებულია მრავალფეროვანი, ასაკისა და ენის დონის შესაბამისი რესურსები, ეს კი ეხმარება მოსწავლეს უნარების განვითარებასა და მოტივაციის

	შენარჩუნებაში. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ეს რესურსები ხელმისაწვდომი და ვალიდირებულია სკოლის მიერ. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები – როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური – შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. მასწავლებლები იყენებენ არსებულ რესურსებს შემოქმედებითად: აქტიურად მიმართავენ ადგილობრივ მასალებს, მოსწავლეთა ნამუშევრებსა და თემში არსებულ შესაძლებლობებს. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილებზე საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება ფოტომასალა, ბუნებრივი მასალები და ინტერნეტრესურსები. მუსიკის მასწავლებელი ხელნაკეთი ინსტრუმენტების, აუდიოჩანაწერებისა და ინტეგრირებული აქტივობების მეშვეობით ცდილობს სწავლის მიზნების მიღწევას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართულია ეროვნული გეგმით განსაზღვრული შედეგების შესრულებაზე, თუმცა მოსწავლის ინტერესებზე მორგებულად. სასწავლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კოორდინაცია, რესურსების გაზიარება კათედრის ფარგლებში. **რჩევა:** ხელოვნების მასწავლებლებმა, სასწავლო გეგმაში მიუთითონ კონკრეტული მუზეუმების (მაგ: Google Arts & Culture) ბმულები. ეს აჩვენებს, რომ სკოლა იყენებს გლობალურ საგანმანათლებლო რესურსებს სწავლის შედეგისთვის. **რჩევა:** შექმენით ფლეილისტები (მაგალითად, YouTube-ზე ან Spotify-ზე) სხვადასხვა ეპოქისა და ჟანრის მიხედვით. მტკიცებულებად წარადგინეთ ეს ბმულები, რაც ადასტურებს, რომ მოსწავლეს ხელი მიუწვდება ხარისხიან აუდიო მასალაზე. **რჩევა:** საუკეთესო პრაქტიკაა, როცა წინა წლის მოსწავლეების მიერ შექმნილი პოსტერი ან მაკეტი ხდება სასწავლო რესურსი მომდევნო კლასელებისთვის. ეს აჩვენებს რესურსების მდგრადობას და მოსწავლეთა ჩართულობას. **რჩევა:** მუსიკაში — რიტმული ბარათები, გრაფიკული გამოსახულებები, ხელოვნებაში — ფაქტურული მასალები (ქვიშა, ბურღულეული, სხვადასხვა სიმკვრივის ქაღალდი). ეს

	ნივთები ფიზიკურად უნდა იდოს კაბინეტში და მათი გამოყენება ჩანდეს გაკვეთილის გეგმაში. 2.1.2.3 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **ინდიკატორი 2.1.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა-** მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით დაწყებით და საბაზო **საფეხურზე,** (განსაკუთერებით საბაზო საფეხურის VII კლასში) სასურველია რესურსების გამრავალფეროვნება. რესურსების შერჩევისას, გრიფირებული სახელმძღვანელოს გარდა, მიუთითეთ აუდიო-ვიდეო მასალა, რესურსები შესაბამისი ბმულებით, რათა უზრუნველყოთ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა.
მათემატიკა	სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში გათვალისწინებულია რესურსი, გრიფირებული თუ დამატებითი (სახელმძღვანელო და ელექტრონული რესურსი), რომლებიც სრულად ემსახურება სწავლის შედეგების მიღწევას.
სპორტი	სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში და დოკუმენტებში ასახული საგანმანათლებლო რესურსები: სახელმძღვანელოები, პოსტერები, თვალსაჩინოებები, განხორციელებული სპორტული აქტივობები, ონლაინ რესურსები, ორიენტირებულია მოსწავლის ინტერესებსა და შესაძლებლობებზე, ხელს უწყობს მოსწავლის სწავლა-სწავლების აქტიურ პროცესში ჩართვას და უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწევას.

	ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
ტექნოლოგიები	დაგეგმილია რესურსების გამოყენება: კომპიუტერი, პროექტორი, პროგრამები Scratch.mit.edu, PowerPoint, ონლაინ პლატფორმა School.emis.ge. რესურსები შერჩეულია ისე, რომ მოსწავლემ შეძლოს შედეგზე ორიენტირებული, პრაქტიკული სწავლის გამოცდილება.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ინტეგრირებული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზნობრივად და შინაარსობრივად შეესაბამება განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. თუმცა, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ძირითად სასწავლო რესურსად, უმეტესწილად, მხოლოდ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოა მითითებული. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმში აისახოს მრავალფეროვანი დამხმარე რესურსები (ციფრული მასალები, თვალსაჩინოებები, სტატიები).

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, ის რომ სწავლების დიფერენცირებული მიდგომა და ზოგადად სასწავლო პროცესის ინკლუზიური ხედვა სასკოლო სივრცეში გულისხმობს პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სასწავლო პროცესში ისინი შეძლებისდაგვარად ითვალისწინებენ დიფერენცირებულ მიდგომას ყველა მოსწავლესთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	მასწავლებლებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული დიფერენცირებული სწავლების მნიშვნელობა და პრაქტიკულ დონეზე, საგაკვეთილო პროცესში, იყენებენ ინდივიდუალურ მიდგომებს მოსწავლეთა აკადემიური მზაობისა და ინტერესების მიხედვით. სასკოლო საზოგადოება და

	სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის პოტენციალის რეალიზებაზე, რაც უზრუნველყოფს პროცესის ინკლუზიურობას.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესი ინკლუზიურია და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. სასწავლო გეგმებში არის გათვალისწინებული სხვადასხვა დონეზე და უნარებზე მორგებული დავალებები, ინდივიდუალური მხარდაჭერა და ჯგუფური მუშაობის შესაძლებლობები. ეს ხელს უწყობს ყველა მოსწავლის ჩართულობას, მათ შორის არსებულ კლას-კომპლექტებში სწავლების პროცესის ეფექტიანობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი ეფუძნება მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომას, სადაც ინკლუზიურობა და დიფერენცირება სწავლების განუყოფელი ნაწილია. მასწავლებლები სასწავლო პროცესს გეგმავენ „უნივერსალური სასწავლო დიზაინის“ პრინციპების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს შინაარსის მიწოდების, დავალებების შესრულებისა და მოსწავლეთა ჩართულობის მრავალფეროვან ფორმებს. სკოლას არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეები, თუმცა, პედაგოგებს აქვთ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შექმნის გამოცდილება. დიფერენცირების მაგალითები აღიწერა ინტერვიუს პროცესში. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილზე მოსწავლეს ეძლევა არჩევანი, ცნება გადმოსცეს ნახატის, კოლაჟის თუ ციფრული ნამუშევრის სახით. შეფასების სისტემა არის მოქნილი და ორიენტირებულია ინდივიდუალურ წინსვლაზე, რაც უზრუნველყოფს მხარდამჭერ და უსაფრთხო სასწავლო გარემოს ყველა მოსწავლისთვის. **რჩევა:** შეიმუშავეთ და შეინახეთ დავალების ნიმუშები, სადაც ჩანს ერთი და იმავე საკითხის სხვადასხვა სირთულით მიწოდება. **რჩევა:** მოსწავლეს მიეცით დავალების შესრულების რამდენიმე ვარიანტი. ასეთი მიდგომა ადასტურებს მოსწავლის ინტერესების გათვალისწინებას.

	რჩევა: შექმენით შეფასების რუბრიკა, რომელიც ითვალისწინებს არა მხოლოდ საბოლოო "პროდუქტს", არამედ პროგრესს და მცდელობას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ესთეტიკის საგნებში, სადაც ნიჭი და უნარები განსხვავებულია. 2.1.2.4 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	მიუხედავად იმისა, რომ მცირეკონტიგენტიან სკოლას არ ჰყავს არც ერთ საფეხურზე სსსმ მოსწავლე, გასაუბრებამ ცხადყო, რომ მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება და მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, სთავაზობენ დიფერენცირებულ დავალებებს, სათანადო რესურსებს, აგრეთვე, შეუძლიათ დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირება სწავლის სტილის გათვალისწინებით. **ინდიკატორი 2.1.2.4. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულიმების გაანალიზების საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. მასწავლებელებს აქვთ გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში მოსწავლეებს შესთავაზონ რესურსები და სასწავლო მასალა მათი შესაძლებლობებისა და ინტერესების გათვალისწინებით, რათა გაზარდონ მათი ჩართულობა და ხელი შეუწყონ ცოდნის კონსტრუირებას. სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს სსსმ მოსწავლე, მაგრამ აქვთ გამოცდილება, საჭიროების შემთხვევაში შეძლებენ მოსწავლის შესაძლებლობებისა და საჭიროებების გათვალსიწინებით ინდ გეგმების შემუშავებას.
სპორტი	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. კომპლექსური ტიპის სამუშაო მოსწავლეს საშუალებას

	აძლევს ერთი და იგივე საკითხის, ერთი და იგივე სამიზნე ცნების დამუშავებისას, აირჩიოს სხვადასხვა დავალებები. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, შუალედური მიზნების დასახვა, განმავითარებელი შეფასება და თვითშეფასება
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და რესურსებს.

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლაში მოსწავლეების შეფასებისთვის გამოიყენება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებები. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ორივე საფეხურზე მასწავლებლებმა წარმოადგინეს განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების ზოგადი რუბრიკები-საკლასო და საშინაო დავალების, ჯგუფური მუშაობის , პროექტის, რეფერატის, კვლევის... სადაც კრიტერიუმები გარკვეულ უნარებზეა მორგებული და კონკრეტული თემის და კონკრეტული საკითხის სამიზნე ცნებებზე მორგებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები. ასევე მტკიცებულებად წარმოადგინეს შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და ამ შემაჯამებელი დავალებების შეფასების

	რუბრიკები, შემაჯამებელი დავალების ანალიზები... **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმებისა და შეფასების რუბრიკების არსებობა (საბაზო საფეხურზე) ადასტურებს, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი ძირითადად დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად და ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე. სამიზნე ცნებებზე მორგებული შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს მოსწავლის ობიექტურ შეფასებას. აღნიშნული დოკუმენტაცია ქმნის საფუძველს თითოეული მოსწავლის აკადემიური საჭიროებების იდენტიფიცირებისა და სწავლების ხარისხის განვითარებისთვის. **რჩევა:** სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს დაწყებითი საფეხურისთვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები. აღნიშნული რუბრიკები უნდა იყოს ვალიდური და მიმართული კონკრეტული თემის ფარგლებში განსაზღვრული ყველა სამიზნე ცნების სრულყოფილად დაფარვაზე. რუბრიკებში მკაფიოდ უნდა ჩანდეს კავშირი მოსწავლის მიღწევასა და სამიზნე ცნების მკვიდრ წარმოდგენებს შორის.
უცხოური ენები	ვიზიტის პერიოდში უცხოური ენის კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, ასევე განმავითარებელი შეფასების ნიმუშები. შეფასების რუბრიკებში მკაფიოდ არის ასახული, თუ რომელი სწავლის შედეგს მიემართება შეფასება. მოსწავლეები ინფორმირებულნი არიან იმის შესახებ, თუ როგორ ფასდება მათი ცოდნა. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებული** **რჩევა:** სასურველია, განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები (როგორც პირველ, ასევე მეორე უცხოურ ენაში) მიემართებოდეს კურიკულუმით განსაზღვრულ თემატურ ერთეულებს და ზუსტ კოლერაციაში მოვიდეს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრულ შედეგების ინდიკატორებთან.

ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში ესთეტიკური საგნების სწავლებისას მოქმედი შეფასების სისტემა შესაბამისობაშია ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებთან. შეფასება ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და შემოქმედებით პროცესში მის აქტიურ ჩართულობაზე. მასწავლებლები ფართოდ იყენებენ განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ფორმებს: ზეპირ და წერილობით კომენტარებს; თვითშეფასებისა და ურთიერთშეფასების ელემენტებს; პროცესზე დაკვირვებას. აღსანიშნავია, რომ შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და მოსწავლეებისთვის წინასწარ ცნობილი, რაც ხელს უწყობს მათ პასუხისმგებლობასა და მოტივაციას. მასწავლებლები ავლენენ დიფერენცირებულ მიდგომებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის შესაძლებლობების ადეკვატურ შეფასებას. მიუხედავად არსებული პოზიტიური პრაქტიკისა, სასწავლო პროცესის შემდგომი სრულყოფისთვის, სასურველია: **რჩევა:** თვითშეფასების პროცესში უფრო აქტიურად დაინერგოს ვიზუალური/გრაფიკული სქემები (მაგ: „რეფლექსიის ბარათები“ მაღალ კლასებში), რაც მოსწავლეს დაეხმარება საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეების უფრო მკაფიო იდენტიფიცირებაში. **რჩევა:** სასურველია, მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი კომენტარების ნაწილი (რომელიც ასახავს მნიშვნელოვან პროგრესს) მეტად აისახებოდეს მოსწავლის პორტფოლიოში, რათა მშობლისთვის და თავად მოსწავლისთვის თვალსაჩინო იყოს განვითარების დინამიკა. 2.1.2.5 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე მოსწავლის შეფასებისას გათვალისწინებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული პრინციპები, მიზნები და ამოცანები. სახელმწიფო ენის პედაგოგებმა წარმოდგინეს როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. **ინდიკატორი 2.1.2.5. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა- დაწყებითი და საბაზო საფეხურის** შეფასების რუბრიკები სასურველია მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს რას აფასებთ,

	მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბეთ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით. შემოქმედებითი ტიპის დავალება შეაფასეთ შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკით. შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს, საფეხურის შედეგებს.
მათემატიკა	სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე მათემატიკის სწავლებისას სკოლა იყენებს განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასებას, შეფასების კრიტერიუმები იძლევა საშუალებას შეფასდეს ცოდნის კონსტრუირების პროცესი, გამოვლინდეს მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები. სტანდარტის შესაბამისად ახდენენ დაკვირვებას მოსწავლეთა განვითარების დინამიკაზე. ორიენტირებული არიან სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. შეფასების სისტემა არის ვალიდური. შეფასების კრიტერიუმები მიემართება სტანდარტით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	მოსწავლეთა ცოდნის კონსტრუირების და შეძენილი ცოდნათა ურთიერთდაკავშირების პროცესის განმსაზღვრელია მოსწავლის შეფასება. მასწავლებელი ითვალისწინებს სტანდარტით განსაზღვრულ მიზნებს, მისაღწევ შედეგებს და აქიდან გამომდინარე აკეთებს უკუკავშირს, რომელიც ძირითადად სწავლის პროცესის გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. პედაგოგებთან გასაუბრების შედეგებიდან გამომდინარე, უკუკავშირის გაცემა ძირითადად ვერბალურად და განმავითარებელი კომენტარის სახით განხორციელდა, მათ აქვთ მზაობა ახალი კურიკულუმების დანერგვის პროცესში თემების მიხედვით შეიქმნან ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რის შემუშავებაშიც ასევე აქტიურად იქნებიან ჩართულნი მოსწავლეებიც. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის შეფასების სისტემა ძირითადად ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა, წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. კათედრას მიეცა **რჩევა**, შეფასების რუბრიკების შემუშავებისას დაეყრდნონ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის ინდიკატორებსა და კონკრეტული დავალების სპეციფიკას. მნიშვნელოვანია, შეფასების კრიტერიუმები იყოს პერსონალიზებული, მოსწავლისთვის ადვილად აღსაქმელი და პირდაპირ მიემართებოდეს გრძელვადიან მიზნებს. არსებულ შეფასების სქემებში მკაფიოდ უნდა აისახოს კავშირი კონკრეტულ თემასა და საგნობრივ სტანდარტს შორის, რათა ვალიდურად გაიზომოს მოსწავლის მიღწევის დონე.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ორივე საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მტკიცებულებები.
- საბუნებისმეტყველო საგნების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და ანალიზები;

საზოგადოებრივი მეცნიერებები

- საგნობრივი კურიკულუმები (ისტორია, საქართველოს ისტორია, ჩვენი საქართველო, მე და საზოგადოება,
- გეოგრაფია, სამოქალაქო განათლება)
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები საბაზო საფეხურზე

უცხოური ენები

- დაწყებითი და საბაზო საფეხურების კურიკულუმები;

- სასწავლო პროექტის გეგმები და ანგარიშები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და შეფასების რუბრიკები;
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- დიაგნოსტიკური წერის ანგარიში;
- დამატებითი რესურსების ბანკი.

ესთეტიკური აღზრდა

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- საბაზო საფეხურის კურიკულუმები
- პროექტული სწავლების კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

სპორტი

- *კურიკულუმი*
- *საგნობრივი პროგრამები*
- *მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი*

ტექნოლოგიები

კომპიუტერულ ტექნოლოგიებში *კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ოქმები განამავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები*

დაწყებითი საფეხური

1. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. დანართი N4 კურიკულუმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის და დებულების შესახებ;
3. დანართი N63 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
4. დანართი N76 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
5. დანართი N82 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
6. დანართი N66 - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;
7. დანართი N55 - ინკლუზიური განათლების მასალები;

8. დანართი N56 - ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი;
9. დანართი N2 - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
10. ადაპტირებული კომპლექსური დავალება 4 კლ;
11. ადაპტირებული მათემატიკა 2 კლასი შემოქმედებითი დავალება;
12. დანართი N85 ისგ ოქმები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეეაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების და სხვა განხორციელებული აქტივობების ამსახველი მასალა, ასევე საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის ანგარიშები ადასტურებს რომ სასწავლო პროცესი ორივე საფეხურზე იგეგმება სასკოლო კურიკულუმების შესაბამისად. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესის წარმართვა საგნობრივი კურიკულუმების საფუძველზე დასტურდება წარმოდგენილი კურიკულუმებით და მასწავლებლებთან გასაუბრებით. საგნობრივი კურიკულუმების შინაარსი თანხვედრაშია დაგეგმილ სასწავლო პროცესთან, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებებისა და მკვიდრი წარმოდგენების თანმიმდევრულ დამუშავებას თითოეული საკითხის ფარგლებში. პედაგოგებთან ჩატარებული ინტერვიუებით დასტურდება, რომ სწავლა-სწავლების პროცესში გარკვეული ადგილი უჭირავს შემოქმედებითი ბუნების დავალებების განხორციელებას. შერჩეული სასწავლო რესურსები აჩვენებს, რომ პროცესი მიზანმიმართულად მიჰყვება სკოლის მიერ შემუშავებულ საგანმანათლებლო გზას და ორიენტირებულია გრძელვადიანი შედეგების მიღწევაზე. **რჩევა:** • სასურველია, რომ სკოლამ X კლასისთვის წარმოადგინოს სამოქალაქო განათლების პროექტული სწავლების მასალები: პროექტის გეგმა და განხორციელების ეტაპები, განხორციელების დამადასტურებელ მტკიცებულებებს, პროექტის შეფასების რუბრიკებს. • სასურველია, წარმოგენილ შემოქმედებითი ბუნების დავალების მატრიცებთან ერთად სკოლამ წარმოადგინოს საბაზო საფეხურზე განხორციელებული შემოქმედებითი ბუნების დავალებების ამსახველი მასალები.

უცხოური ენები	პირველ და მეორე უცხოურ ენებში აქტივობები დაგეგმილია და ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მიზნების და საკითხების შესაბამისად. ამასთანავე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ შემაჯამებელი დავალებები, დიაგნოსტიკური ტესტები თუ პროექტები/პროექტული ტიპის აქტივობები სრულ თანხვედრაშია სასკოლო კურიკულუმთან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	სოფელ ხოშრის საჯარო სკოლა წარმოადგენს იმ ტიპურ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სკოლაში ესთეტიკურ კათედრას ჰყავს ორი მუსიკის და ხელოვნების უფროსი მასწავლებელი. მიუხედავად ადამიანური და მატერიალური რესურსების სიმწირისა, სკოლამ შეძლო შეექმნა ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სასკოლო კურიკულუმი მჭიდროდ უკავშირდება თემის რეალურ საჭიროებებსა და ღირებულებებს. კურიკულუმის განახლების პროცესში, სკოლის დირექციამ და ესთეტიკის კათედრამ პრიორიტეტად დაისახეს თემის ინტერესების გათვალისწინება. განხილვებში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ერთობლივად შემუშავებული მიდგომის შედეგად გამოიკვეთა, რომ სოფელ ხოშრაში, ძალიან ძლიერია ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების სიყვარული — ბევრი ოჯახი ფლობს ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს, ხოლო სასკოლო ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, კურიკულუმის ფარგლებში აქცენტი გაეკეთებინა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლასა და შესრულებაზე. საკლასო პროცესში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხურ საკრავებს, ჭიანური, ფანდური, ჩონგური, დოლი, სალამური და შედეგად შეძლეს შეექმნათ ხალხური საკრავები მეორადი გამოყენების ნივთებით, საღებავებით, ქაღალდებით და ა.შ. შესაბამისად, სწავლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების პროცესად იქცა. ხელოვნების მასწავლებელმა დაიწყო პროექტული ტიპის გაკვეთილების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას სასკოლო საზოგადოებაში. მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოფენა მრავალფეროვან თემატიკაზე. სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ადგილობრივი

	ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა.შ. მოსწავლეებს დაევალოთ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა ინტეგრირდეს ადგილობრივ მეურნეობებთან — მოსწავლეები ესტუმრნონ ფერმერებს, გადაიღონ ფოტოები და შექმნან ვიზუალური ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პროფესიონალური სახელოსნო ან მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ კრეატიული გზების პოვნა: გამოიყენონ ხელმისაწვდომი მასალები, აქტივობებში ჩართონ მშობლები, რომელთაგან ზოგიერთს ხელსაქმეში დიდი გამოცდილება აქვს და თავიანთი ცოდნას ბავშვებსაც გაუზიარებენ. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება სასკოლო კურიკულუმი ფორმირდეს კონკრეტული სკოლის სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან და როგორ შეიძლება იგი გადაიქცდეს თემისა და სკოლის თანამშრომლობის ჭეშმარიტ არენად. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია უნდა ითვალისწინებდეს სასკოლო საზოგადოების ინტერესებს, შეხედულებებს, შესაძლებლობებსა და პრიორიტეტებს. სწორედ ეს მიდგომა ქმნის ისეთი განათლების საფუძველს, რომელიც მკაფიოდ აირეკლავს ადგილობრივ რეალობას და ამავდროულად უზრუნველყოფს ეროვნული სტანდარტების დაცვას. **რჩევები:** • **სასურველია,** სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. • **სასურველია,** ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. • სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. **სასურველია,** მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები).

	• **სასურველია,** ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები ინტეგრირებული იყოს თემთან ან სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილები დაკავშირდეს მეწარმეობასთან, ადგილობრივ არქიტექტურასთან და სოფლის ბუნებრივ ლანდშაფტთან. • **სასურველია,** სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. • **სასურველია,** მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ინტერესები და მონაწილეობა მიიღონ თემატიკის შერჩევასა და შემოქმედებით პროცესში. ეს ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. მათ აღწერეს განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნეს, რომ პირველად შეიმუშავეს კურიკულუმი და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან დაიწყებენ აქტიურ მუშაობას. ასევე, კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და საკითხები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით გაწერეს. კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტების სინაკლეებია. პედაგოგებმა, რჩევის გათვალისწინებით, კურიკულუმს გადახედეს, ჩაასწორეს და დასაწყისისთვის, წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები. 2.2.1.1 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სასწავლო პროცესი კურიკულუმის შესაბამისადაა დაგეგმილი, აქცენტი კეთდება როგორც სახელმძღვანელოში შერჩეულ, ასევე სავალდებულო თემებსა და საკითხებზე. თემის ფარგლებში შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შერჩეული საკითხების გასააზრებლად. განსაზღვრულია სასწავლო პროცესისათვის საჭირო რესურსები და აქტივობები, რაც ასევე გამოიკვეთა გასაუბრებისას. სახელმწიფო ენის მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მუშაობენ საგნობრივი კურიკულუმების შესაბამისად, განხორციელებული აქვთ სასწავლო-შემოქმედებითი

	პროექტები, მათგან აღსანიშნავია დაწყებით საფეხურზე განხორციელებული პროექტიები: ,,ჩვენი სკოლა'', ,,ბუნება ჩვენი მეგობარია'', საბაზო საფეხურზე -,,წიგნი თუ კომპიუტერი''. **ინდიკატორი 2.2.1.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სწავლების დაწყებით და საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია და კათედრის წევრებთან გასაუბრება იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია კურიკულუმის შესაბამისად. სავალდებულო თემების ფარგლებში განიხილება საკითხები, რომელთა დასამუშავებლად ცხრილში გაწერილია დავალებები და რესურსები, აქტივობები და რესურსები შერჩეულია მოსწავლეთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია**
სპორტი	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება სამიზნე ცნებებს და ემსახურება მკვიდრი წარმოდგენების გააზრებას. წარმოდგენილია ასევე კომპლექსური დავალებების ნიმუშები და/ან პირობები. საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენს, სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზების და ურთიერთდაკავშირების საშუალებას იძლევა. წარმოდგენილ კურიკულუმებში გათვლილი თემები, მოსწავლეს ხელს შეუწყობს საგნობრივი საკითხების გააზრებაში. ხოლო კომპლექსური დავალებები მოსწავლეს დაეხმარება პრობლემის გადაჭრაში, გამოწვევასთან გამკლავებაში, პროდუქტის შექმნაში, სხვისი მოსაზრებების გათვალისწინებასა და ყველა გამოცდილების მობილიზებაში, გამომდინარე აქეადან სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გაკვეთილები ეფუძნება სასკოლო კურიკულუმში აღწერილ შუალედურ მიზნებს, აქტივობებსა და რესურსებს. თითოეული სასწავლო თემა შეთანხმებულია სკოლის დოკუმენტაციასთან და ემსახურება მოსწავლის კომპეტენციების განვითარებას. ასევე, გათვალისწინებულია თემატური მატრიცების გამოყენება, კათედრის შეხვედრები და შეფასების ინსტრუმენტები

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი დაგეგმილია და მიმდინარეობს საგნობრივი კურიკულუმების მოთხოვნათა დაცვით, რაც დასტურდება როგორც დოკუმენტურად, ისე ინტერვიუების ეტაპზე. მასწავლებლები ყოველდღიურ პრაქტიკაში ეყრდნობიან თემატურ ერთეულებსა და კომპლექსური დავალებების ჩარჩოებს. **რჩევა:** სასწავლო პროცესის კიდევ უფრო მეტი ეფექტურობისთვის, მიზანშეწონილია კათედრის დონეზე პერიოდულად განხორციელდეს კურიკულუმის რეალური შესრულების დინამიკის მონიტორინგი, რომ სრულად იქნეს უზრუნველყოფილი სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ყველა აქტივობის რეალიზება.

2. **სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე**

სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე. სკოლაში სწავლების პროცესი აქტიურია. მოსწავლე მასწავლებლის დახმარებით თვითონ აგებს ცოდნას წინარე ცოდნაზე დაყრდნობით, გამოცდილებისა და ნაცნობი კონტექსტის გახსენებით. მოსწავლეს მასწავლებელი ეხმარება ცოდნის აგებაში, უქმნის სწავლის მოტივაციას, ეხმარება სწავლის მიზანის გაცნობიერებაში. სკოლა მუდმივად ახდენს სასწავლო პროცესის მონიტორინგს; თანამშრომლობს მშობლებთან, უზრუნველყოფს დიფერენცირებულ და ინდივიდუალურ მიდგომებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, სადაც ჩანს, რომ ვერიფიკაციის მიზანია სკოლამ დაადასტუროს, ის რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში შეფასების პროცესი არის სანდო, ვალიდური, ობიექტური, გამჭვირვალე და სამართლიანი. ხოლო შეფასების შედეგებზე მიღებული გადაწყვეტილებები - ზუსტი. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების

	კათედრის მიერ წარმოდგენილი შემაჯამებელი დავალებების ნიმუშები, შემოქმედებითი დავალებები, შეფასების რუბრიკები, ასევე სკოლის ვერიფიკაციის დოკუმენტი, ადასტურებს რომ შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭირვალე, ობიექტური , სანდო და სამართლიანი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა დაფუძნებულია წინასწარ განსაზღვრულ რუბრიკებსა და კრიტერიუმებზე, რაც უზრუნველყოფს მის ობიექტურობასა და სამართლიანობას. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა, რადგან მოსწავლეებმა და მშობლებმა წინასწარ იციან, რა მოეთხოვებათ თითოეული დავალების შესრულებისას. მუდმივი განმავითარებელი უკუკავშირი კი სისტემას სანდოს ხდის და ეხმარება მოსწავლეს, რეალურად დაინახოს საკუთარი პროგრესი. **რჩევა:** • სასურველია, რომ სკოლამ შეიმუშაოს შეფასების რუბრიკები დაწყებითი საფეხურის საგნებისათვის. • სასურველია, სკოლამ წარმოდგენილ შემაჯამებელი დავალების პირობებთან ერთად წარმოადგინოს მოსწავლეების ნამუშევრები და მიწოდებული განმავითარებელი შეფასებები.
უცხოური ენები	უცხოური ენების კათედრის მიერ შემუშავებული შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ინდიკატორში წარმოდგენილ მოთხოვნებს. სკოლა ცდილობს შეფასების სისტემა დააფუძნოს სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებზე. შეფასების პროცესში ყურადღება ექცევა მოსწავლეთა საკლასო პრეზენტაციებს, ჩართულობასა და ენობრივ უნარებს. გამოყენებული შეფასების ინსტრუმენტები გამჭვირვალეა — მოსწავლეებს აქვთ მკაფიო წარმოდგენა შეფასების კრიტერიუმებზე და იციან, რა მოთხოვნების შესაბამისად ფასდებიან. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების საგნების მიმართულებით შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესში საგნობრივი შეფასება არ წარმოადგენს მხოლოდ მოსწავლის აკადემიური ცოდნის რაოდენობრივ აღრიცხვას – იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნული და შემოქმედებითი განვითარების წახალისებაში. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია: იქნება ეს მუსიკალური კომპოზიციის შესრულება, ინსცენირება, მხატვრული ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით ფასდება, რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. ხშირად გამოყენებულია სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ეხმარება მათ პროგრესის გაგებაში. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო, რაც ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კათედრაზე აღნიშნეს, რომ ჰყავთ ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლე, ამიტომაც განსაკუთრებული მიდგომების გამოყენების გამოცდილებაც აქვთ ამ მიმართულებით. პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დავალება – ჯგუფური პროექტები, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნამუშევრები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, ჩანაწერთა დღიური. ეს ავითარებს თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარებს. **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ეს გაზრდის პროცესის დოკუმენტურ გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. მუსიკისა და ხელოვნების შეფასების სისტემა ახალაბასთუმნის საჯარო სკოლაში განვითარებაზე ორიენტირებული და მრავალფეროვანია. შეფასების სისტემამ უკვე

	აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარების პოტენციალი კვლავ არსებობს – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. **რჩევები:** • **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. • **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. • **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. **2.2.1.3 ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადესა და სანდოობას. **ინდიკატორი 2.2.1.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, განსაზღვრული აქვს შეფასების ინსტრუენტები. შეფასების რუბრიკებში მოცემული კრიტერიუმები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. შეფასების სისტემა შემუშავებული და გააზრებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების რუბრიკების შეთანხმება ხდება კათედრებზე.

სპორტი	სკოლის მიერ შემუშავებული და წარმოდგენილი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი, სისტემის გამჭვირვალობას და ობიექტურობას ადასტურებს ის გარემოება, რომ მასწავლებლები შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ მოსწავლეებს რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ სრულყოფილი ინფორმაცია იმ შეფასების კრიტერიუმების შესახებ, რითაც ისინი შეფასდებიან სპორტული აქტივობების დროს, ეს ყოველივე საშუალებას მისცემს მოსწავლეებს უფრო ორგანიზებულად და მონდომებით შეასრულონ აქტივობები. შეფასების სისტემა ასევე აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმით და იგი ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	გამოყენებულია განმავითარებელი, ზეპირი და პროექტზე დაფუძნებული შეფასება. შეფასების პროცესი დაკავშირებულია გრძელვადიან მიზნებთან და მოიცავს როგორც მასწავლებლის, ისე მოსწავლის და მშობლის ჩართულობას
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების პროცესი ეფუძნება სხვადასხვა ეტაპზე სასწავლო აქტივობებზე დაკვირვებას, რაც ხელს უწყობს პროცესის სანდოობას. სისტემა მიმართულია გრძელვადიან მიზნებსა და სამიზნე ცნებებზე, თუმცა ვალიდურობის კიდევ უფრო გაზრდის მიზნით, მიმდინარეობს მუშაობა კრიტერიუმების კონკრეტულ დავალებებთან უკეთ თავსებადობაზე.

4. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი**

   დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შეფასების ვერიფიკაციის დოკუმენტი, რომლის თანხამდაც სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი. დოკუმენტის მიხედვით ვერიფიკაციის მექანიზმის დანერგვის მიზანია დაწსებულებაში შეფასების სისტემა იყოს სანდო, ვალიდური და გამჭვირვალე, ასევე სამართლიანი და ობიექტური. ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ კათედრებზე ხდება შეფასების მოქმედი რუბრიკების განხილვა, საჭიროებისამებრ ცვლილება და ახალი რუბრიკების დანერგვა.

   ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით. მონაცემთა შენახვა ხდება კონფიდენციალურობის, ეთიკისა და ინფორმაციის დაცვის წესების დაცვით.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- კათედრის ოქმები;
- სკოლის მიერ წარმოდგენილი შემოქმედებითი დავალებების მტკიცებულებები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები.
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები, შემაჯამებელი დავალებების შეფასების რუბრიკები და ანალიზები;

უცხოური ენები:

- პირველი და მეორე უცხოური ენის დაწყებითი და საბაზო საფეხურების კურიკულუმები;
- სასწავლო პროექტის გეგმები და ანგარიშები;
- გაკვეთილების გეგმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკის ნიმუშები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და შეფასების რუბრიკები;
- დიაგნოსტიკური წერის ამსახველი დოკუმენტაცია;

სპორტი

- საგნობრივი კურიკულუმი
- შეფასების სისტემა
- კათედრის ოქმი
- კათედრის სამუშაო გეგმა
- კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია

ტექნოლოგიები

კომპიუტერულ ტექნოლოგიებში *კურიკულუმები, შეფასების რუბრიკები, სასკოლო სასწავლო გეგმა, კათედრის ოქმები განამავითარებელი შეფასების რუბრიკები, შემოქმედებითი დავალებები, პროექტები*

დაწყებითი საფეხური

1. დანართი N67 - ვერიფიკაციის მექანიზმები;
2. დანართი N66 - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;
3. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. დანართი N4 კურიკულუმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის და დებულების შესახებ;
5. დანართი N63 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
6. დანართი N76 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
7. დანართი N82 საშუალო საფეხურის კურიკულუმები

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლა უზრუნველყოფს კურიკულუმის განხორციელების პროცესში სასწავლო რესურსების მრავალფეროვნობას და შესაბამისობას თითოეულ საფეხურთან მიმართებაში. სკოლას ვალდებულება აქვს, დარწმუნდეს, რომ დამხმარე სასწავლო რესურსი სრულად შეესაბამება სასწავლო პროგრამის მოთხოვნებს და ესგ-ის პრინციპებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა იყენებს სკოლაში არსებულ ძირითად მატერიალურ რესურსებს -გრიფირებულ

	სახელმძღვანელოებს, ასევე ელექტრონულ რესურსებს. ეს რესურსები შესაბამისობაშია სასწავლო მიზნებთან. **ინდიკატორის მოთხოვნა არის დაკმაყოფილებული.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული როგორც ძირითადი, ისე დამხმარე საგანმანათლებლო რესურსები, რაც უზრუნველყოფს სამიზნე ცნებების სიღრმისეულ გააზრებას. რესურსების შერჩევა ხდება შემოქმედებითი ბუნების დავალებების სპეციფიკის გათვალისწინებით, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ წვდომა მრავალფეროვან ინფორმაციაზე ცოდნის კონსტრუირების პროცესში.
უცხოური ენები	კათედრას წარმოდგენილი აქვს ძირითადი (გრიფირებული სახელმძღვანელოები) და ციფრული დამხმარე სასწავლო რესურსები კურიკულუმში. რესურსების გამოყენება დასტურდება საკლასო თუ სასკოლო აქტივობებთან მიმართებით, მათ შორის სასწავლო პროექტების განხორციელებისას როგორც ინგლისურ, ასევე რუსულ ენაში . **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის შემუშავება. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უშურველად უზიარებენ მოსწავლეებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს კურიკულუმის განვითარებისთვის, რომელშიც მეტად გაითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, კულტურული მემკვიდრეობა, კულინარიული ხელოვნება და ა.შ.) შესაბამისი თემები.

	სასურველია, დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერის კონცერტები, ფესტივალები, თემატური დღეები, ექსპედიციები და ა.შ. **რჩევები:** • **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. • **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. • **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, კუილინარია) შესაბამისი თემები. • **სასურველია,** დირექციამ გამოუცხადოს მხარდაჭერა, რათა პედაგოგებმა და მოსწავლეებმა შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება და განხორციელება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. **2.2.2.1 ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმებში რესურსების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი შესაძლებლობები, ინტერესები, საჭიროებები. ძირითად რესურსად მინიშნებულია გრიფირებული სახელმძღვანელო, იშვიათად გვხვდება ციფრული რესურსები და მაორგანიზებელი სქემები. **ინდიკატორი 2.2.2.1. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.** **რჩევა:** **დაწყებითსა და საბაზო საფეხურზე** კურიკულუმის შექმნისას წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად, რესურსების გრაფაში სასურველია აისახოს როგორც ძირითადი, ასევე დამხმარე ელექტრონული თუ მატერიალური რესურსები, რომლებსაც რეალურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში.

მათემატიკა	კურიკულუმში გაწერილია სავალდებულო, ძირითადი რესურსი (გრიფირებული სახელმძღვანელო) და დამხმარე რესურსები - რაც სასწავლო შედეგის მიღწევის საშუალებას იძლევა, ზრდის მოსწავლის მოტივაციას. გასაუბრებისას გამოიკვეთა წარმოდგენილი მატერიალური რესურსების გამოყენება.
სპორტი	კურიკულუმის გაცნობის და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად დადასტურდა, რომ კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე რესურსები სრულად გამოიყენება სასწავლო პროცესში, სკოლას აქვს საკმარისი სპორტული ინვენტარი და გამართული ინფრასტრუქტურა, რაც იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი მიმდინარეობდეს დაუბრკოლებლად. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სკოლას გააჩნია ის მატერიალური რესურსი (კომპიუტერული ლაბოლატორია) რომელიც მითითებულია კურიკულუმებში. ასევე, საგანმანათლებლო რესურსიც (დამხმარე სახელმძღვანელოები, ინტერნეტ რესურსები) მრავალფეროვანია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმების ანალიზითა და პედაგოგებთან გასაუბრების საფუძველზე დასტურდება, რომ დაწყებით საფეხურზე სასწავლო პროცესში გამოიყენება მრავალფეროვანი მატერიალური და ელექტრონული რესურსები. აღნიშნული მნიშვნელოვნად უწყობს ხელს მოსწავლეთა მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდას, ასევე სასწავლო საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. **რჩევა:** სასურველია, პედაგოგებმა კურიკულუმებში დეტალურად ასახონ და კონკრეტულ საკითხებს/აქტივობებს მიაბან ის დამხმარე რესურსები, რომლებსაც ისინი რეალურად იყენებენ საგაკვეთილო პროცესში. ეს უზრუნველყოფს დოკუმენტის ფუნქციურობას და მის თანხვედრას პრაქტიკასთან.

2. **სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილ სხდომის ოქმში ჩანს, რომ ძირითად გრიფირებულ და დამხმარე სახელმღვანელოებს კათედრა ირჩევს წლის დასაწყისში. სკოლა თავად უზრუნველყოფს დამხმარე რესურსების ვალიდურობას. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში არსებობს დამხმარე სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების გარკვეული პრაქტიკა. მასწავლებლები ერთმანეთთან კათედრაზე წინასწარ განიხილავენ და აჯერებენ ყველა იმ მასალას — იქნება ეს სტატია, ვიდეო თუ ისტორიული წყარო — რასაც მოსწავლეებს კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას სთავაზობენ. თავად კურიკულუმები და წარმოდგენილი მატრიცებიც ნათლად აჩვენებს, რომ ეს რესურსები ზუსტად არის მორგებული გაკვეთილის მიზნებს და პირდაპირ ეხმარება მოსწავლეებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული სამიზნე ცნებების გააზრებაში.
უცხოური ენები	სკოლის მიერ წარმოდგენილი ერთწლიანი სამოქმედო გეგმის და კათედრის სამოქმედო გეგმის შესაბამისად დგინდება, რომ კათედრა ახორციელებს დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას და ასახავს კათედრის ოქმებში. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. სასწავლო რესურსის ვალიდაცია განიხილება, როგორც სწავლის ხარისხის ერთ-ერთი განმსაზღვრელი კომპონენტი. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და თემის შინაარსთან. სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური

	მასალები: მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები, ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები, სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები, სხვადასხვა დარგობრივი ელექტრონული რესურსები. მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე, ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. **რჩევები:** • მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, **სასურველია** მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. • **სასურველია,** სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური მასალის გამოყენება. • **სასურველია,** შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. • დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. კათედრაზე, დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და

	დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. 2.2.2.2 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	რესურსები შერჩეულია გააზრებულად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს შესაძლებლობის ფარგლებში, როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროს. სკოლას აქვს მზაობა უზრუნველყოს ახალი დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაცია შესაბამისი წესით. **ინდიკატორი 2.2.2.2. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	გამოყენებული საგანმანათლებლო რესურსების ვალიდაცია ხორციელდება კათედრაზე. სასწავლო წლის დასაწყისში ირჩევენ, როგორც გრიფირებულ სახელმძღვანელოებს, ასევე მათთვის მისაღებ სასწავლო დამატებით რესურსებს. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას არ წარმოუდგენია კონკრეტული დოკუმენტი ვალიდაციის პროცესის, თუმცა გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ მუდმივად ხდება კათედრის სხდომაზე წევრებს შორის დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდურობის შეფასება, ასევე აღინიშნა მზაობა დოკუმენტაციის შექმნის შესახებ. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	სასწავლო პროცესში სრულად გამოიყენება კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსები, მათ შორის სახელმძღვანელოები, კომპიუტერი, პროექტორი და საკლასო აღჭურვილობა. რესურსების გამოყენება რეგულარულად ხდება, რაც ხელს უწყობს სწავლების ხარისხის გაუმჯობესებას და მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას. აღნიშნული რესურსები ხელს უწყობს სწავლის შედეგების განხორციელებას და ხელს უშლის საგანმანათლებლო ხარვეზების წარმოქმნას.

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

მცირეკონტინგენტიანი სკოლა უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა.

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/ მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და სწავლების შედეგების გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, რომ სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლეების მხარდაჭერა მატერიალური რესურსებით. საკუთარი შესაძლებლობიდან გამომდინარე, სკოლა ზრუნავს არსებული რესურსების შენარჩუნებასა და მომავალში მათ გაუმჯობესებაზე. სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს დოკუმენტი-ლაბორატორიით სარგებლობის წესი , სადაც მე-6 მუხლში აღნიშნავს, რომ სკოლას გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია სათანადო ტექნიკური მოწყობილობით. ლაბორატორიაში წარმოდგენილია აღჭურვილობა, ხელსაწყოები და თვალსაჩინოებები, რომლებიც ხელს უწყობენ მოსწავლეებს ფიზიკური მოვლენის ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში. რეალურად სკოლაში ვიზიტისას არ წარმოუდგენიათ და

	მასწავლებლებთან საუბრის დროსაც გამოიკვეთა , რომ სკოლას აქვს ლაბორატორია მაგრამ ის არ არის აღჭურვილი არანაირი ხელსაწყოებით, რეაქტივებითა და თვალსაჩინოებებით, შესაბამისად, მოსწავლეებს ვერ შეუწყობენ ხელს მატერიალური რესურსებით ფიზიკური მოვლენების ახსნაში, ექსპერიმენტის ჩატარებაში. **რეკომენდაცია: შესაბამისად მნიშვნელოვანია, რომ სასწავლო პროცესის ეფექტურად წარმართვისა და სწავლების შედეგების გაუმჯობესებისათვის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორია აღიჭურვოს შესაბამისი მატერიალური რესურსებით.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2026 წლის სექტემბერი.** **შესაბამისად, ინდიკატორი შეფასდა, როგორც „მეტწილად შეესაბამება“**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სკოლაში სასწავლო პროცესი დაგეგმილია იმგვარად, რომ კურიკულუმით დასახული მიზნების მიღწევას სკოლა საჭირო ნივთებითა და აღჭურვილობით უზრუნველყოფს. კლასებში მოსწავლეთა რაოდენობა ოპტიმალურია, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ სასწავლო გარემო, კომპიუტერები თუ სხვა დამხმარე მასალები ყველასთვის თანაბრად არის ხელმისაწვდომი. არცერთი მოსწავლე არ რჩება პროცესს მიღმა და თითოეულ მათგანს აქვს რეალური შესაძლებლობა, პრაქტიკაში აჩვენოს და დაადასტუროს ის, რაც ისწავლა.
უცხოური ენები	სწავლის შედეგების მიღწევა უცხოურ ენებში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოების, ასევე დამატებითი ფიზიკური თუ ციფრული რესურსების სახით. ეს საშუალებას აძლევს როგორც მასწავლებელს, ისე მოსწავლეს ეფექტურად განახორციელონ სასწავლო პროცესი. **ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**

ესთეტიკური აღზრდა	ხორშის საჯარო სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით ფორტეპიანო, რიტმული აქტივობისთვის საჭირო ინსტრუმენტები: მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და საჭირო ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს. **რჩევები:** • **სასურველია**, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე.

	• **სასურველია,** გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. • **სასურველია,** ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებულ სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია. 2.2.2.3 **ინდიკატორი შესაბამისობაშია**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **ინდიკატორი 2.2.2.3. აკმაყოფილებს სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებს.**
მათემატიკა	სკოლას აქვს სასწავლო მატარიალური რესურსი, საკლასო ოთახები აღჭურვილია საჭირო ინვენტარით, უზრუნველყოფილია მოსწავლეთა უსაფრთხოება და მორგებულია დიფერენცირებულ საჭიროებებზე. **ინდიკატორით გათვალისწინებული მოთხოვნები დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლას აქვს ღია და დახურული სპორტული ინფრასტრუქტურა და შესაბამისი სპორტული ინვენტარი, რაც პედაგოგებს უწყობს ხელს დაუბრკოლებლად განახორციელონ საგაკვეთილო-სასწავლო პროცესი, რაც გვაძლევს იმ დასკვნის საშუალებას, რომ

	კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული დამატებითი რესურსები განსაზღვრულია საგნობრივ კათედრებზე განხილვის შედეგად. მასწავლებლები კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევისათვის იყენებენ მათ ხელთ არსებულ მატერიალურ და არამატერიალურ რესურსს, ისეთი როგორიცაა, კომპიუტერული ტექნიკა, ელექტრონული ინტერაქტიული თამაშები, ელექტრონული პლათფორმები და სხვა.
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით.

4. **სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი**

საშტატო განრიგით სკოლას ჰყავს 20 მასწავლებელი, მათ შორის 1 მენტორი. სკოლა მცირეკონტიგენტიანია, აქვს ორი შენობა, განიცდის საჭირო ადამიანური რესურსის სიმცირეს, რის გამოც უწევს მასწავლებლებისთვის სრულ განაკვეთზე მეტი საათობრივი დატვირთვის შეთავსება. დაწყებითი საფეხური; მათემატიკა, სპორტი, მუსიკა, ხელოვნება. შესაბამისად მნიშვნელოვანია, კანონმდებლობის შესაბამისად უზრუნველყოს საშტატო განრიგის ზრდა და მასწავლებლებთან შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრა უნდა მოხდეს 2026 წლის ივნისი - 2026 წლის სექტემბერში.
აღნიშნულის გათვალისწინებით ინდიკატორი შეფასდა, როგორც ,,მეტწილად შეესაბამება“.
დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
• დამატებითი რესურსები;

• მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი;

• კათედრის ოქმები.

.. საგნობრივი კურიკულუმები (დაწყებითი და საბაზო საფეხურის);

2.განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

უცხოური ენები:

- დაწყებითი და საბაზო საფეხურების კურიკულუმები;
- შემაჯამებელი დავალების ნიმუშები და შეფასების კრიტერიუმები;
- პროექტების გეგმები;
- შემაჯამებელი წერების დოკუმენტაცია;
- დიაგნოსტიკური ტესტების დოკომუნტაცია

დაწყებითი საფეხური

1. დანართი N68 მატერიალური რესურსები;
2. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. დანართი N63 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
4. დანართი N76 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
5. დანართი N82 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
6. დანართი N6 შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;
7. დანართი N7 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**

მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად მიმდინარეობს კურიკულუმის მონიტორინგი. მეთოდოლოგიაში განსაზღრულია მონიტორინგის პასუხისმგებელი პირიც. სკოლაში ტარდება დიაგნოსტიკური წერები, მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილებზე, აანალიზებენ შემაჯამებელი წერების შედეგებს. წლის განმავლობაში გამოკვეთილს საკიტხებს განიხილავენ კათედრის სხდომებზე და ითვალისწინებენ სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სკოლაში არსებობს ხარისხის განვითარების მექანიზმი, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესის შეფასება და მონიტორინგი. მასწავლებლები და დირექცია ესწრება გაკვეთილებს, შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რასაც ითვალისწინებენ მომდევნო წლის კურიკულუმის შემუშავებისას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

მონიტორინგისა და შეფასების შედეგების მიხედვით სკოლა გასცემს შესაბამის უკუკავშირს, რომელსაც ითვალისწინებენ მომდევნო საქმიანობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის ოქმები;

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან ირკვევა, რომ სკოლაში შექმნილია მოსწავლეთა შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური სისტემა. მოსწავლეებს ამოწმებენ როგორც განმავითარებელი ისე განმსაზღვრელი შეფასებით. სკოლას გააზრებული აქვს, რომ მოსწავლეთა შეფასების ჰოლისტური სისტემა ეყრდნობა მოსწავლეზე ინფორმაციის შეგროვების მრავალფეროვან წყაროებს, რომელიც დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლე შეაფასოს მრავალი კუთხით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციისა და პედაგოგთა ინტერვიუებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ შეფასება ეყრდნობა სხვადასხვა წყაროებს. სკოლა ითვალისწინებს მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინდივიდუალურ საჭიროებებს. მოსწავლე ფასდება ანალიზის, დასკვნის გაკეთების, პრობლემის გამოკვეთის, ინფორმაციის მოძიება-ორგანიზების, პრეზენტაციის და სოციალური უნარებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სკოლაში შეფასებისას იყენებენ მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: მასწავლებლის პირად ჩანაწერებს, განმავითარებელ/განმსაზღვრელ შეფასებებს, მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დაკვირვებას, მოსწვალეთა თვითშეფასებას და უკუკავშირს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

შეფასებისას გათვალისწინებულია როგორც მოსწავლეთა აკადემიური დონე ასევე, მოსწავლის განვითარების დინამიკა, განვითარების პროცესი. მომავალი წლიდან სკოლა გეგმავს არსებული გამოცდილების გაუმჯობესებას და გამრავალფეროვნებას, მაგ. დიაგნოსტიკური შეფასების სისტემის აქტიურად დანერგვასა და სხვა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კათედრის ოქმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*

☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სკოლის მიერ წარმოდგენილ „სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“-ში გათვალისწინებულია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის შემუშავება. ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის დამტკიცებას წინ უძღვის წინა წლის სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის გაანალიზება. პედაგოგები მთელი წლის განმავლობაში აგროვებენ კურიკულუმის დანერგვის პროცესში მიღებულ შესაბამის მონაცემებს და შემდეგ ხდება მათი ანალიზი კათედრის სხდომებზე. განხილულ საკითხებთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე კათედრები შეიმუშავებენ რეკომენდაციებს, რომლებიც უზრუნველყოფს მომდევნო წლის კურიკულუმის გადამუშავებული ვერსიის შექმნას. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე მუდმივად განიხილება რომელიმე თემის სწავლებისას, ან შემოქმედებითი დავალების განხორციელებისას წარმოქმნილი პრობლემები. განიხილება ამ პრობლემების გადაჭრის გზებიც.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სკოლა სასწავლო წლის განმავობაში ახორციელებს კურიკულუმის მონიტორინგს. მონიტორინგის შედეგები ეტაპობრივად ანალიზდება საგნობრივი კათედრების სხდომებზე და ხდება მათი გათვალისწინება სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას. მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ წლის ბოლოს კათედრაზე ერთად აანალიზებენ გამოვლენილ პრობლემებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდლებას, რეკომენდაციებს და ისე გეგმავენ მომდევნო წლის კურიკულუმებს.

ინდიკატორი შესაბამისობაშია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კათედრის სხდომის ოქმები

საგნობრივი კურიკულუმები;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)*
- *ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	*საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*	*საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა*
☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- შემოქმედებითი დავალებები;
- საკლასო/სასკოლო პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია;
- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის დოკუმენტი;
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები
- საბაზი საფეხურის კურიკულუმები
- ხელოვნების პროექტული სწავლების კურიკულუმი
- ინტერვიუს შედეგები
- თვითშეფასების ანგარიში

სახელმწიფო ენა

1.დაწყებითი და საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები;
2.კათედრის სხდომის ოქმი;
3.შეფასების ინსტრუმენტები;
4.განხორციელებული შემაჯამებელი დავალებები;
5.შემაჯამებელი დავალებების ანალიზები;
6.სადიაგნოსტიკო წერის ნიმუშები;
7.გაკვეთილის გეგმები;
8.კლას-კომპლექტის გეგმა;
9.პროექტები;
10.პედაგოგთა რეფლექსიები;
11.მოსწავლეთა ნამუშევრები;
12.ფოტომასალა;
13.შემოქმედებითი ტიპის დავალების ბარათები;
14.კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია:
15.სასკოლო სასწავლო გეგმა;

16.თვითშეფასების კითხვარი.

მათემატიკა

საგნობრივი კურიკულუმები;
სასწავლო პროექტები;
განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
სამოქმედო გეგმა; კათედრის ოქმები;

თარიღი; 18.06. 2026 წელი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ზაზა ჭანტურია;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მარიამ ფერიაშვილი

ირმა შალიკიანი

ზაზა მანია

ნინო თამარაშვილი

თამარ ძველაია

ნანა შალამბერიძე

ირინე შარაბიძე

მურად ფახურიძე

ჟანა ბელქანია

ვერა სომხიშვილი